სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 29 იანვარი 2003 №12 (1783) | ფასი 50 თეთრი

ბნელში მოსაყოლი ბნელი ისტორია

ვალერი ჩოლარია უეფაში იმ ჩაშლილ მატჩზე ილაპარაკებს, რომლის გაგრძელება თურმე შესაძლო ყოფილა

უშუქობის გადამკიდე შეწყვეტილი 12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის მატჩის გაგრძელება, ანუ „ლოკომოტივის“ განათება წუთების ამბავი იყო, მაგრამ საზრიან ელექტრიკოსს სადენის მესამე წვერის განათების პირდაპირ წყაროზე მიერთება არ დაანებეს.

თამაშის გაგრძელების შესაძლებლობას არც უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფი გამორიცხავს, რომელსაც საბოლოო დასკვნა დღეს უნდა გამოემზეურებინა, თუმც ითქვა, გამოძიება კიდევ გაგრძელდებაო.

დღესვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია უეფას ეწვევა და იქაურებს საქართველოს ნაკრების ევროშესარჩევის საგაზაფხულო მატჩების სამასპინძლო სტადიონს დაუსახელებს.

ფედერაციას სხვა არჩევანი თითქმის არც აქვს — ჩოლარია უეფას დიდმოხელეთ „ლოკომოტივს“ ეტყვის.

ახლა ის ვთქვათ, რომ ირლანდიაშვეიცარიასთან მატჩების დაწყების დროდ საღამოს 8 საათი დაითქვა, რუსებთან გადათამაშება კი ცხრის ნახევარზე დაიწყება და, ბუნებრივია, კაცს 12 ოქტომბრის საღამო გაგახსენდება.

ჰოდა, ამ გახსენებაზე — თუკი მატჩის გაგრძელება შესაძლებელი იყო, ვის ან რატომ დასჭირდა მისი ჩაშლა? ან კიდევ, რუსთა მეორედ სტუმრობისასაც რომ... ერთი სიტყვით, ეს საქმეც ისეთივე ბნელია, როგორც 12 ოქტომბრის საღამოს ჩაბნელებული „ლოკომოტივი“.

იხილეთ მესამე გვერდი

ეს იყო, ეს იქნება, მაგრამ ისევე თუ დასრულდა...

ვინ არის ახლა ყველაზე გიჟი?

ის, ვინც ყველაზე დიდია: ჰერმან მაიერი!

ერთი შეხედვით მშვიდი, გაწონასწორებული მავანი მოქალაქე გეგონება, მაგრამ ეს მხოლოდ პირველადი შთაბეჭდილებაა. უტყვი, პირქუში ფასადის მიღმა უდიდესი სასიცოცხლო ენერგია დუღს. ეს კაცი გამარჯვებისთვისაა დაბადებული და მას ჰერმან მაიერი ჰქვია.

დათოვლილ ფერდობებზე ისე ფეთიანივით დაეშვებაზოლმე, მის მაგივრად მაყურებლებს ეშინიათ, რამე არ მოიწიოსო. უშიშია, ვითარც უხორცო და რობოტივით ყველფერს იდეალური სიზუსტით აკეთებს, ამის გამო შეარქვეს „ჰერმინატორი“.

წლების განმავლობაში თავის მსგავსთა შორის ბადალი არა ჰყავდა, მაგრამ ამ წლინახევრის წინ საშინლად დაიმტვრა, თხილამურებით კი არა, მოტოციკლით ქროლვისას. ექიმებმა ძლივს მოახერხეს და მარჯვენა ფეხი შეუნარჩუნეს. გადარჩა კაცი დასახიჩრებასო — ზენას მადლი შესწირეს ახლობელ-გულშემატკივრებმა. კარიერის გაგრძელებას ვინ ჩიოდა, კაცს იქნებ ოდესმე ორ ფეხზე გაევლო.

გაიარა კი არა, წელიწადნახევარში ალპების დამრეცებს დაუბრუნდა, საწყალი ჰერმანი, რა ბიჭი იყო და აი, თურმე, რა გამოუწერა ბედმა — ყოველთვის გამარჯვებული ახლა მონაწილეობასლა უნდა დასჯერდესო — ამოიოხრა ხალხმა.

და უცებ, ალპებში მეხივით გავარდა ხმა და ექოზე უსწრაფესად მოედო მსოფლიოს, „ჰერმინატორმა“ ავსტრიულ ალპებში, კიცბიუელში სუპერგიგანტი მოიგო, სულ 13 დღეში მას შემდეგ, რაც დაბრუნებულმა თხილამურები მოირგო. მაიერმა აჯობა ყველას, ვინც კი მას არყოფნაში პირველობას იჩემებდა.

გმირია თუ გიჟი? იქნებ, ორივეც იყოს, მაგრამ ჰერმან მაიერი უპირველეს ყოვლისა დიდი სპორტსმენია, რომლის ტოლებიც თანამედროვე სპორტში ბევრი არ მოიძებნება.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ინგლისი

პრემიერლიგა. XXV ტური
მიდლსბრო 2:5 ასტონ ვილა
ბოლტონი 1:2 ევერტონი
ჩელსი 3:2 ლიდსი
სანდერლენდი 0:1 საუთჰემპტონი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
რედინგი 1:3 ლესტერი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
მენსფილდი 1:2 უიგანი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
კიდერმინსტერი 1:3 ოსსფორდი
ლეიტონი 1:1 კემბრიჯი

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIV ტური
მარსელი 2:0 ნიცა

II დივიზიონი. XXIII ტური
ლე მანი 0:1 ლორიანი
მეცი 4:1 ისტრი

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ვენლო 0:0 სიტარდი
ემენი 2:1 კამბური
ვეენდამი 0:2 დენ ჰაააგი

ამსტერდამი მატჩი

ომანი 1:2 ნორვეგია

შოტლანდია

პრემიერლიგა
XXIV ტური
აბერდინი 0:1 ჰარტსი
დანფერმლაინი 0:1 დანდი
პარტიკი 1:3 ლივინგსტონი

თურქეთი

გადადებული მატჩი
დენიზლი 2:1 ანკარაგიუჯიუ

ესპანეთი

თასის 1/4-ფინალი
საკასუხო მატჩი
ატლეტიკო 0:0 უელვა (0:1)

REUTERS მარსელიდან

მარსელი — ნიცა. მასპინძელმა ლამინ საკომ ბურთი ფეხის წვერით დაიჭირა



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლიდსი. ფრენკ ლამპარდმა (მარჯვნივ) და ლონდონელებმა სტუმრებს ჭულაც არ დაანებეს

ჯანიმ ჯორჯიას ბათუმში გაასწრო



ბუნკა დელეგაციაში

ხვალ ვეტერინარული 31-კაციანი დელეგაცია თბილისიდან ბათუმისკენ გაეშურება, იქიდან ტრაპიზონისკენ გაგრძელებს გზას, ხოლო ბოლო გაჩერება ანთალიიდან 12 კილომეტრით დაშორებულ დაბა ბელეკში იქნება. ხვალიდან „ვიტ ჯორჯია“ საგაზაფხულო ჩემპიონატისთვის მზადების მეორე ეტაპს ორკვირიანი შეკრებით დაიწყებს.

ვიტელთა თავკაცმა ჯანი კარნეკალიმ ბათუმისკენ გუდა-ნაბადი ჯერ კიდევ გუშინ აიკრა. მწვრთნელი შეგირდებს ბათუმში დახვდება, იქ კვებისა და დასვენების პრობლემებს მოაგვარებს და ტრაპიზონისკენაც ერთად წავლენ.

თანაგუნდელებს ჩამორჩება და თბილისში ექიმებთან მოუწევს სიარული მეკარე სერგო ჭურაძეს. მან ერთ-ერთ ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა. ეს ტრავმა მას ადრეც აწუხებდა, ეტყობა, ბოლომდე არ მომჯობინებულა და ტკივილმა თავი ისევ შეახსენა.

„ვიტ ჯორჯიას“ 25-კაციან საანთალიო განაცხადში თვალს ვერ მოჰკრავთ კაპიტანყოფილ გიორგი ყიფიანს, ვისაც რიგის „სკონტო“ და რუსული „კრილია“ უპირებენ გადაბირებას. ქართული კლუბი ყიფიანის უცხოური კარიერის წინააღმდეგი არ არის და გიორგის გზას ულოცავს.

თურქეთში არც ნახევარმცველი დავით ქოქიაშვილი მიდის. ის 12 თებერვალს საქართველო — მოლდოვის ახალგაზრდული გუნდების მატჩში მიიღებს მონაწილეობას და მერე რუსული „სპარტაკის“ შეხმიანებას დაელოდება. ქოქიაშვილი ხომ ჯერაც მოსკოვური კლუბის საკუთრებაშია.

გერმანიაში წასული თავდამსხმელი რევაზ გოცირიძე მეორე ბუნდესლიგის „ვალდჰოფს“ კი მოსწონს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ ანგარიში ჯერაც არ გაუსწორებია და მისი საქმეც ბურუსითაა მოსილი. გოცირიძე კი საანთალიო სიაში ვერ მოხვდა.

ვეტერინარული კლუბიდან დაითხოვეს საყდენი შუახაზელი ბესიკ თედორაძე, ვისაც გეზი უცხოეთისკენ აუღია, თუმც მის შესახებ ვეტერინარებმა არაფერი უწყიან.

„ვიტ ჯორჯიას“ სათურქეთო განაცხადი კი ასეთია:

მეკარეები: მირზა მერლანი, დავით მამარდაშვილი;

მცველები: დავით იმედაშვილი, ლევან მერებაშვილი, თენგიზ კობიაშვილი, ჯაბა მუჯირი, დავით ზაზაშვილი, გიორგი კვახაძე, ალექსანდრე ინწკირველი, დავით ლომაია;

ნახევარმცველები: გიორგი ფეიერიშვილი, ლაშა ნოზაძე, დავით დოლიძე, დავით ბოლქვაძე, დავით დიღმელაშვილი, პაატა დათუნაიშვილი, ოლეგ გველესიანი, ირაკლი მალიჩავა;

თავდამსხმელები: გიორგი ადამია, კახა ბერელიძე, ვლადიმერ გორაშვილი, ლევან მელქაძე, ერეკლე მერებაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ლაშა ალადაშვილი.

მამუკა კვანტალიანი

OVER THE TOP

ჯიჯანაძე მთელი ძალით იბრძოლებს

წელის ტკივილებით გატანჯული 26 წლის გიორგი კიკნაძე თბილისშია — გერმანიაში და შვეიცარიაში მკურნალობამ ასპროცენტიანი შედეგი ვერ გამოიღო და ამ ქართველი ფეხბურთელის კარიერა კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

დაახლოებით ორი კვირის წინ კიკნაძემ „სარბიელთან“ საუბარში განაცხადა, თუ შვეიცარიაში მკურნალობამაც ვერ მიშველა, ალბათ ფეხბურთის თამაშს თავს დავანებებო.

თუმც გიორგი დანებებას არ აპირებს და როგორც შევიტყვეთ, ორთვიანი შესვენება განუზრახავს, რათა ჯანი მოიკრიფოს და ბედის გამოწვევას მთელის ძალით ეკვეთოს.

OVER THE TOP — 80-იან წლებში სილვესტერ სტალონეს ეს ფილმი შეუპოვარი ბიჭების ბიბლია იყო...

დავით თავართქილაძე



სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
ZEUS ბელგია
- ქრა 42 GEL
- ბერეტები 17 GEL
- შალები 112 GEL
- ბილიარდის ბალიშები 101 GEL
- ქრის მარკა 24 GEL
- მარაგები ბალიშებისთვის 47 GEL
- ბილიარდის ქარვასლები 19 GEL
- მარცხი, რეზინი 1.2 GEL
900 GEL
მაგერი Mair
ბ: 95-57-75; ბ./ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კალინინის)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარეშე

დამნაშავე უდანაშაულოს დასჯას აპირებს

რატომ არ შეაერთებინეს ახობაძეს მესამე წვერი?



გივი ჭანტურიძე

დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ 12 ოქტომბერს სკანდალურად ჩაშლილი საქართველო — რუსეთის მატჩის გადარჩენა შეიძლებოდა. ამას არც გამოძიება უარყოფს და ამის გარეშეც გამოიკვეთა, რომ უშუქობით შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების არაერთი შესაძლებლობა იყო. საკითხავია, თუკი არსებობდა შეხვედრის გაგრძელების შანსი, რატომ არ გამოიყენეს იგი? ამ კითხვას მეორე კითხვამდე მივყავართ — ხელოვნურად ხომ არ შეიქმნა იმგვარი ვითარება, რომ ნახევარ საათში ვერ მოსწრებულიყო ელექტროენერგიის მიწოდება სტადიონისთვის?

მომხდარმა ფაქტმა არაერთგზის შელახული პრესტიჟი კვლავაც შეულახა საქართველოს. ბუნებრივია, დაინიშნა გამოძიება. გარემოებებმა ისეთი ვითარება შექმნა, რომ სუფთა ქართული თვალსაზრისით განტევების ვაცის პოვნა გახდა საჭირო. „ნაპოვნიცაა“...

„სტადიონის ხელმძღვანელთა დაუდევრობა“ — ამ ფრაზამ არაერთგზის გაიელვა უშიშროების მინისტრის მოადგილის ამსწინანდელ საკანცელარიო მოხსენებაში.

სიტყვამ მოიტანა და კანცელარიაში ამ პრობლემებთან დაკავშირებით გამართული სხდომა იმთავითვე რომ არაფრისმომტანი ჩანდა, ცხადი იყო და მართლაც უნაყოფო გამოდგა. უშიშროების მინისტრის მოადგილის მიერ წაკითხული სგამოძიებო დასკვნა დაუსრულებელია — გუშინ გაცხდდა, რომ გამოძიება თებერვალშიც გაგრძელდება. ვარაუდობენ, რომ საბოლოო დასკვნას უშიშროება მომავალი თვის შუა რიცხვებში გამოიტანს.

„განტევების ვაცს“ დავუბრუნდეთ... გივი ჭანტურიძეს საქმის მცოდნე პიროვნებად იცნობენ. იგი 42 წელია, „ლოკომოტივის“ სტადიონს ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში „ლოკომოტივზე“ გამართული არაერთი საერთაშორისო მატჩისთვის უხელმძღვანელია (ახლა-ზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლით) და ფიფას ყოფილი პრეზიდენტის ჯოო აველანჟის სამადლობელი წერილებიც არ დაჰკლებია. ჭანტურიძე უშუალო მონაწილეა 12 ოქტომბრის პროცესების, სათქმელიც ბევრი აქვს, მაგრამ მისი მონაყოლი გამოძიებისთვის არცთუ მნიშვნელოვანია. გივი ჭანტურიძეს გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეეხვდით...

როგორ ემზადებოდა „ლოკომოტივის“ სტადიონი ქართული ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩის სამსჯინძლოდ..

— წერილობითი შეტყობინება მიიღო რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძემ — სფფ-ს საქართველო — რუსეთის მატჩის გამართვა „ლოკომოტივზე“ სურდა: ჩხაიძემ სათანადო რეზოლუციით წერილი ჩვენ გამოგვიგზავნა და მატჩამდე ერთი თვით ადრე ოფიციალური სამზადისიც დავიწყეთ. 12 ოქტომბრამდე რამდენიმე დღით ადრე ფაქტობრივად მზად ვიყავით. გასინჯეთ ელექტროსისტემის მოწყობილობა. შევამოწმეთ ტრანსფორმატორი, გენერატორები, ყველაფერი მწყობრში იყო. 11 ოქტომბერს ჩემი ინიციატივით მოეწყო გენერალური რეპეტიცია. თანაც ისე დაემთხვა, რომ იმ დღეს რუსეთის ნაკრები ვარჯიშობდა. სტუმრები განათებაზე ვავარჯიშეთ. ყველაფერი წესრიგში იყო. გავსინჯეთ გენერატორებიც. ვაკვირდებოდით აპარატურის წნევას, დენის სიხშირეს — რეპეტიციამ იდეალურად ჩაიარა. თამაშის დღეს დილიდანვე შევკრიბე თანამშრომლები. მათ ბრძანების სახით წარვუდგინე სია, სადაც თითოეულ ადამიანზე განაწილებული იყო შესაბამისი ფუნქციები. წუთებით იყო აღნიშნული, თუ ვის რა უნდა ეკეთებინა დღის მანძილზე. მიუხედავად ამისა, დღის 2 საათზე ისევ ჩავრთეთ განათება, ორი საათის მანძილზე კვლავაც ვაკვირდებოდით დენის სიხშირეს, გენერატორების მუშაობას. ყველაფერი იდეალურად იყო. ამის შემდეგ გენერატორებში საწვავი შევავსეთ, ზეთი გამოვუცვალეთ და მოწყობილობა ავტომატურ რეჟიმზე დავაყენეთ.

უეფას ინგლისელი დამკვირვებელი გაკვირვებული იყო, სტადიონზე კი არა, კეთილმოწყობილ დარბაზში მგონია თავი, ყველაფერი ჩინებულად გაქვთ, არ მგონია, თუ ამ დონეზე შეძლებდით საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასო. მისმა სიტყვებმა დიდი სტიმული მომცა, ვიფიქრე, რომ მრავლაც გამორჩეული მასპინძლობა გამოგვიყიდოდა, თუმცა სათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდათ.

სტადიონის ადმინისტრაციის ამგვარი საძზადისი სკანდალით დასრულდა — „ლოკომოტივი“ უშუქოდ დარჩა. მატჩი ჩაშალა. როგორი იყო პირველი რეაქცია? „შემთხვევის ადგილზე“ მისული ჩინან-უჩინოები ავარიის მიზეზების დადგენას შეუდგნენ ნაცვლად იმისა, რომ ვითარების გამოსწორებაზე ეზრუნათ. ტრადიციულ ქართულ ქაოსში თვალსა და ხელს შუა მიილია განაჩენივით გამოტანილი ნახევარი საათი...

— როდესაც შუქი ჩაქრა, დაუყოვნებლივ ტრანსფორმატორებიკენ წავედი. იქვე მოვიდნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, აკაკი ჩხაიძე და სამთავრობო სტრუქტურების სხვა წარმომადგენლები. სადენე ჯიხურიდან ბოლი გამოდიოდა. ჩხაიძე ყვიროდა, ჩქარა გააღეთ კარებიო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი, ჩვენ ჯიხურში შესვლის უფლება არ გვქონდა, რადგან იგი თელასის დაქვემდებარებაშია და თანაც გასაღებიც არ აღმოჩნდა, რომ დაზიანებულ ტრანსფორმატორამდე მიგვეღწია.

თუკი სადენე ჯიხურს თელასი კურირებდა, რატომ არ აღმოჩნდა ასეთი მნიშვნელოვანი მატჩისას „ლოკომოტივზე“ ამ ორგანიზაციის თუნდაც ერთი წარმომადგენელი...

— მატჩის წინა დღეს ჩემი ინიციატივით შევხვდი თელასის წარმომადგენლებს, მათ მატჩის ათი ბილეთი გადავეცი. შეთანხმებისამებრ თამაშზე მოსული ათი კაციდან ნაწილს ტრანსფორმატორებთან უნდა ემორიგეა. გაოცებული დავრჩი, 12 ოქტომბერს არც ერთი თელასელი არ მოსულა სტადიონზე. მიზეზი ნამდვილად მქონდა, საქართველოს ჩემპიონატის თამაშებისასაც კი, უეფას მატჩებზე რომ არაფერი ვთქვა, ერთი-ორი თელასელი მაინც მოდიოდა სტადიონზე ოფიციალური ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის და თავისი მოვალეობების შესასრულებლად. ავარიისას კი თელასის წარმომადგენლის მოყვანას 10 წუთი დასჭირდა. თანაც ამ კაცს ჯიხურის გასაღები არ აღმოაჩნდა, გადარეკვა-გადმორეკვის შედეგად გასაღები მოიტანეს ჩვენამდე, მაგრამ ამასობაში დრო დაიკარგა. ჯიხურთან მისვლისას ითქვა, რომ ავარიის მიზეზი, ტრანსფორმატორის დაზიანება იყო. გვქონდა სარეზერვო ტრანსფორმატორიც, რომელსაც დამცველები არ აღმოაჩნდა. დავით მირცხულავა თავისი ხელით შეუდგა დამცველების გადაწყობას, ამასობაში 22 წუთი გავიდა, თურმე ეს შრომაც ფუჭი ყოფილა, რადგან ავარიის მთავარი მიზეზი სტაბილიზატორის დაზიანება იყო.



მთავარი დამნაშავე ეს სტაბილიზატორია

კანცელარიაში შეხვედრაზე ითქვა, რომ დენის მიწოდების აღდგენა შესაძლებელი იყო, თუკი სადენე წყაროს სტაბილიზატორის გარეშე პირდაპირ ხაზზე გაიყვანდნენ. ეს პროცესი სულ 10-15 წუთს საჭიროებდა და უცნაურია, რომ ენერგეტიკის მინისტრმა თავისი სოლიდური ამალით საჭირო დიაგნოზი ვერ დასვა. დენის აღდგენა რომ შესაძლებელი იყო, ამის დამტკიცებას გამოძიებამ ოთხი თვე მოანდომა. არადა, ყოველივე ავარიის მოხდენიდან რამდენიმე წუთში ისედაც ცნობილი გახლდათ...

— ტრანსფორმატორთან უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა რაღაცას ცდილობდა, ყველას განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა, მინისტრის წინაშე ყველას თავის გამოჩენა უნდოდა. ერთი რამ მაკვირვებს, რატომ ვერ მივიდნენ ენერგომამები სწორ დასკვნამდე, როცა ეს უპირობლემოდ მოახერხა ჩემმა ელექტრიკოსმა ახობაძემ. თავს არ ვიქებ და მეც იგივე მოსაზრება მქონდა — დენის კაბელები პირდაპირ ჩართვაზე უნდა გადასულიყო. ჰოდა, მე და ახობაძემ თუ მივაგენით გამოსავალს, იგივეს გაკეთება გამოცდილ სპეციალისტებს რატომ უნდა გასჭირვებოდათ? გადაჭრით არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ დრო ხელოვნურად ხომ არ გაიწელა? ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ როდესაც ახობაძე სადენე კაბელების პირდაპირ წყაროზე გადაბმას შეუდგა, ნახევარსაათიანი ვადის გასვლამდე 7-8 წუთი რჩებოდა. სულ სამი წვერი იყო შესაერთებელი. ახობაძემ ორი შეაერთა და ამ დროს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი შემოვიდა ჯიხურში, ყველანი გადით, მატჩი ჩაშალა, რუსები უკვე მიდიანო, არადა, მესამე წვერის შესაერთებლად ახობაძეს სულ რაღაც სამი წუთი სჭირდებოდა. ასეთ ვითარებაში თავად განსაჯეთ, შეეასრულე თუ არა ჩემი მოვალეობა და იყო თუ არა მომხდარი სტადიონის ხელმძღვანელობის დაუდევრობის ბრალი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დამნაშავე ამირებს უდანაშაულოს დასჯას, თორემ მე ჩემს თანამდებობას არ ვებღაუჭები.

ეროვნული ნაკრები მომავალ მატჩებს კვლავაც „ლოკომოტივზე“ გამართავს. ფედერაცია დეტალებს არ ახმაურებს, მაგრამ ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ მოლდოვასთან ქართველები 15 საათზე ითამაშებენ, შვეიცარია — ირლანდიასთან საღამოს 8 საათზე, რუსეთთან ნახევარი საათით გვიან... მოკლედ, საქმე ისევ ელექტროენერგიამდე მიდის, არადა, ფედერაცია ოფიციალურად ჯერაც არ შეთანხმებია სტადიონის ადმინისტრაციას, ისე წარდგინა უეფაში „ლოკომოტივის“ ვარიანტი. ჩოლარიამ ოფიციალური წერილით შეატყობინა აკაკი ჩხაიძეს, კვლავაც თქვენს სტადიონზე ვითამაშებთო, ჩხაიძემ გივი ჭანტურიძეს გადაულოცა სფფ-სთან საქმის მოგვარება და ხელშეკრულების გაფორმება. რა პირობებს მოითხოვენ რკინიგზელები, ჯერაც უცნობია, ის კი ნაღდია, რომ მოლაპარაკება ორივე მხრისთვის წარმატებული შედეგით დასრულდება.

— ჩემთვის უპირველესი ეროვნული ინტერესებია. საქართველოს ნაკრებს „ლოკომოტივის“ გარდა არც აქვს ალტერნატივა. ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, სფფ-მ საბილეთო შემოსავლიდან გარკვეული თანხა უნდა გადაიხადოს, რადგან თითოეული მატჩის მომზადებას დიდი ენერგია და ფული სჭირდება. ჩვენ მოვითხოვთ იმდენს, რომ სტადიონის ხარჯები დაიფაროს და იმდენი დაგვრჩეს, მუშებისთვის ხელფასის გაცემა რომ შევძლოთ.

პაატა ძვანტალიანი

ცაკარიასი ნანას გასინჯავს

ფეხბურთელებმა ჰერუელი დაამშვიდეს

ანთალიურ შეკრებაზე მყოფი „ლოკომოტივის“ პერუელი თავკაცი თავდამსხმელების გარჯით იყო უკმაყოფილო და თურქეთში მეგოლე ფორვარდს დაეძებდა. იქნებ ეს იყო მიზეზი რკინიგზელი შემტევების გააქტიურებისა. მათ გუშინ მოწინააღმდეგე არ დაინდეს და შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს.

რკინიგზელთა მეტოქეობა ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ნაცვლად ადგილობრივმა „ანთალიამ“ იკისრა და ალბათ, ინნა კიდეც მეტოქის რბევა ალეკო კაიდარაშვილმა დაიწყო, რომელმაც ტაიმის ბოლოს დუბლიც მითვალა. მანამდე თავის გამოჩენა სირაძემაც შეძლო და პირველი ტაიმი „ლოკომოტივმა“ 3:0 მოიგო.

მეორე ნახევარში გოლები სოსელიამ, ძოძუაშვილმა, ვილაურმა და მუშკუდიანმა გაიტანეს და ცაკარიასიც გაახალისეს.

რკინიგზელებმა გუშინაც ორი შემადგენლობით ითამაშეს. ძირითადი თერთმეტეული ასეთი იყო: *ლომაია, ბალაშვილი, რ. ონიანი, სალუქვაძე, ორბელაძე, ჭიჭვეიშვილი, გალიარდო, სირაძე, კაიდარაშვილი, ლაცაბიძე.*

მეორე ტაიმში ამათ *ივარდავა, მორჩილაძე, კაკაშვილი, გ. ონიანი, ვილაური, სოსელია, ვლასოვი, მუშკუდიანი, ძოძუაშვილი, გოგინაშვილი* და *რუსია* შეენაცვლნენ.

არც გუშინ უთამაშია საყრდენ გივი კვარაცხელიას, ვინც ფეხი კი მოიშუშა, მაგრამ მწვრთნელმა მაინც დასვენება ურჩია.

რკინიგზელთა რიგებში კი მატებაა. ცაკარიასის განკარგულებაში გამოცხადდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ დათხოვილი ვლადიმერ კაკაშვილი, რომელთან ერთად მწვრთნელი 20 წლის განელ თავდამსხმელ ნანა ეშიმსაც დაკვირდება. აფრიკელს თურმე, თავის დროზე გერმანიაში უბურთავია.

დღეს „ლოკომოტივის“ მეტოქე სამხრეთ კორეის ერთ-ერთი გუნდი უნდა იყოს, რომლის ვინაობას და თამაშის შედეგსაც ხვალინდელ „სარბიელში“ გაახლებთ.

მამუკა ძვანტალიანი

გივი კვარაცხელიას ლუის ცაკარიასი ჯერაც დასვენებას ურჩევს

იძულებითი შესვენების შემდეგ დაბრუნებული შოთა არველაძე „რეინჯერსს“ გოლით შეეშველა

ქართველებმა თასები ფეხქვეშ გაიგდეს

არველაძის თხებმა გარეკეს

ამ სეზონში უსუსტესი მატჩი ჩაატარა მილანელმა კახა კალაძემ. სტუმრად „უდინეზესთან“ მარცხის მიუხედავად, „მილანმა“ პირველი ადგილი კი შეინარჩუნა, მაგრამ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თამაშით მეტად უკმაყოფილო დარჩა. ქართველი მცველის გარდა თავი ვერც სხვა მილანელებმა გამოიჩინეს და მასპინძლებმაც ღირსეულად მოიგეს. მით უმეტეს, მეორე ტაიმის მთელი 42 წუთი უმცირესობაში გაატარეს — მსაჯმა მოედნიდან არგენტინელი მცველი ნესტორ სენსინი გააძევა.

ვერ მოიგო „ფრაიბურგმაც“. ფოლკერ ფინკე კერკეტ „ალემანიას“ სამი ქართველით დაუხვდა, თუმც ბევრი ვერაფერი დააკლო. ცქიტიშვილ-კობიაშვილ-იაშვილის ტრიო ჩვეულად აქტიურობდა. „ფრაიბურგი“ მალე დაწინაურდა კიდეც, მაგრამ სტუმრებმა გათანაბრება შეძლეს და ამის შემდეგ ანგარიში აღარც შეცვლილა. მეორე ტაიმში ოდნავ პასიური ალექსანდრე იაშვილი მწვრთნელმა 55-ე წუთზე გამოცვალა — შედეგი არც ამას მოჰყოლია.

თხის წელიწადი შედეგიანად დაიწყეს „თხებმა“. „კიოლნმა“ იოლად დაამარცხა აუტსაიდერი „კარლსრუე“ და სატურნირო ცხრილს კვლავაც ზემოდან დაჰყურებს. ქართველმა თავდამსხმელმა არჩილ არველაძემ ტრავმა კი მიიღო, მაგრამ სრული დატვირთვით ჯერაც ვერ ვარჯიშობს და უახლოეს ტურებში მისი გამოჩენა ისევ საეჭვოა.

მოსამზადებელ ეტაპზე თავგამოჩენილ გიორგი დეკანოსიძეს არც ამჯერად მიეცა მოედანზე გასვლის შანსი. უმისოდ კი „ფიურტმა“ 88-ე წუთზე აზუზის მიერ გატანილი გოლით სძლია „დუისბურგს“ და სეზონში დღემდე საუკეთესო მეექვსე ადგილამდეც აღზევდა. სწორედ აზუზი არის დეკანოსიძის მთავარი კონკურენტი ძირითად შემადგენლობაში.

შოტლანდიაში ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალმა ორი ქართული გოლი „იხილა“. ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა შოთა არველაძემ მესამე გაუტანა ქვედალიგელ „არბროთს“ და „რეინჯერსმაც“ იოლად, 3:0 იმარჯვა. ხიზანიშვილ-ნემსაძის „დანდიმ“ კი „პარტიკს“ ასევე სტუმრად დააყრევინა ფარ-ხმალი. ქართველები ჩვეულად გამორჩეულად გაისარჯნენ. პირველი გოლი კი ორთვიანი იძულებული შესვენების შემდეგ გამოჯანმრთელებულმა გიორგი ნემსაძემ საჯარიმო დარტყმით შეაგდო.

ორჯერ მეტი გოლი მიითვალეს ქართველებმა კვიპროსის თასის პირველ ეტაპზე. თემურ ქეცბაიამ და ლევან ქებაძემ ორ-ორი გაიტანეს და თავიანთი გუნდების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს. ქეცბაიას „ანართოსისმა“ სტუმრად „ეთნიკოსს“ სძლია 3:0 (თემურმა პირველი და მესამე გოლები გაიტანა), ხოლო „პარალიმნიმ“ დაბალლიგელ პაეეკ-ს არ დაუტოვა შანსი. საბერძნეთიდან კუნძულზე გადაბარგებულმა ლევან ქებაძემ ბოლო ორი ბურთით გაამწარა მეტოქე. იგი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

ძახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი		სად მეტოქე	ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	უდინეზე 0:1	90		14	0	1
გერმანია. მეორე გუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ალემანია 1:1	55	შეცვალეს	10	0	3
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	ალემანია 1:1	90		18	7	3
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ალემანია 1:1	90		17	1	3
გიორგი კიკნაძე	ფრაიბურგი	შ	ალემანია 1:1	0	ტრავმირებულია	0	0	3
ზაზა ზამთარაძე	ფრაიბურგი	შ	ალემანია 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
არჩილ არველაძე	კიოლნი	შ	კარლსრუე 3:0	0		0	0	1
გიორგი დეკანოსიძე	ფიურტი	შ	დუისბურგი 1:0	0	სათადარიგო	1	0	6
შოტლანდია. ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალი								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	არბროთი 3:0	74	1 გოლი, შეცვალეს	1	1	
გიორგი ნემსაძე	დანდი	ს	პარტიკი 2:0	90	1 გოლი	1	1	
ზურაბ ხიზანიშვილი	დანდი	ს	პარტიკი 2:0	90		1	0	
ბელგია. მეორე დივიზიონი								
გელა შეყილაძე	რუზელარე	ს	ჰამე 2:2	?		?	0	16
კვიპროსი. თასის პირველი ეტაპი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	ეთნიკოსი 3:0	90	2 გოლი	1	2	
გიორგი შენგელია	მორფუ	შ	ნეა სალამინა 3:1	?		?	0	
ლევან მაღრაძე	აელ	შ	ლაკატამიასი 3:0	?		?	0	
მამუკა ნერეთელი	ნეა სალამინა	ს	მორფუ 1:3	?		?	0	
ლევან ქებაძე	პარალიმნი	ს	პაეეკ 4:1	90	2 გოლი	1	2	

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ქინქლაძის გაზაფხული

დერბიმ ქართველი შეაფასა, დააფასა და დაიტოვა

ინგლისური „დერბის“ ქართველი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე სეზონის ბოლომდე ამ კლუბში დარჩება და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებს.

უკვე რა ხანია, ქინქლაძეს „ცხვრებისგან“ გაცლა სურს, მაგრამ, რამდენიმე მიწვევის მიუხედავად, მან გუნდიდან წასვლა ვერ მოახერხა და ეს საქმე ზაფხულამდე გადადო. თანაც „დერბიმ“ აზრი შეიცვალა, აქამდე თუ ქინქლაძეს თავისსავე ხელფასის გარკვეული პროცენტის სანაცვლოდ უთმობდა მსურველს, ახლა მისი მსურველი კლუბისგან ჩვენებურისთვის ფულს ითხოვს. მიზეზი კი თავად ფეხბურთელია, რომელიც უკვე სტაბილურად, ძლიერად თამაშობს და „დერბის“ მწვრთნელთაგან ქება არ აკლია.



— სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სამი დღე დარჩა და ვფიქრობ, ჩემი სხვა გუნდში გადასვლა თებერვლამდე აღარ მოესწრება. „დერბიში“ კიდევ ოთხ თვეს დავრჩები, სეზონს აქ ჩავამთავრებ და მერე, ვიმედოვნებ, უკეთეს გუნდს გამოვნახავ. ორი დღის წინ კლუბის ხელმძღვანელობას ერთხელაც ვესაუბრე და მათი სურვილიც იყო, ზაფხულამდე „დერბი“ არ დამტოვებინა, სათამაშო ფორმა აღვიდგინე, კმაყოფილი ვარ, ამაში მწვრთნელიც დარწმუნდა და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად ჩემი იმედიც აქვს. რაც შემეძლება, „დერბის“ დავეხმარები — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ გუშინ, როცა ინგლისში დავუკავშირდით.

დღესდღეობით „დერბი“ ქვეყნის პირველ დივიზიონში მეთექვსმეტე ადგილზეა, ექვსეულამდე კი, რაც პრემიერლიგაში აღზევების შანსს იძლევა, ქინქლაძის გუნდს სულ ექვსი ქულა აშორებს. წინ კიდევ თოთხმეტი ტურია.

კოტა ინასარიძე

მესამე სეზონია, გიორგი დეკანოსიძე მეორებუნდესლიგური „ფიურტის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ლამობს, თუმც ამაოდ. წლეულს „ფიურტის“ ქართველი ნახევარმცველი სხვა გუნდში გადასვლას ცდილობდა და ხელმძღვანელობასაც განუცხადა ამის შესახებ. ყველაფერს ჯი პასუხი ახლახან გაეცა — დეკანოსიძემ მთავარ მწვრთნელ ეუგენ ჰახის კაბინეტის ჯარი შეაღო და იქიდან მხოლოდ იმედი გამოიტანა, ოღონდ არა სხვა ჯლუბში გადასვლის... ჰახმა ჩვენებურს სხვაგან თამაშის ფიქრიც აუკრძალა და შანსს დაჰპირდა, შანსს, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი თითქმის სამი წელია, ელის.

გუშინ გიორგი დეკანოსიძეს გერმანიაში დავუკავშირდით

არც იფიქრო!

გიორგი დეკანოსიძემ ჰახის კაბინეტიდან იმედი გამოიტანა

— გადაწყდა, რომ ისევ „ფიურტში“ ვრჩები. ამას უკვე წყალი არ გაუვა.

— მწვრთნელთან შეხვედრას აპირებდი...

— შევხვდი კიდეც და გუნდიდან წასვლაზე კატეგორიული უარი მივიღე. „ფიურტში“ თამაშზე უარი არასოდეს მითქვამს, მაგრამ მე იქ ამის შანსი ნაკლებად მქონდა. ამიტომაც ვცდილობდი, კლუბს სადმე გავენათხოვრებინე, მაგრამ არ გამომივიდა.

— რომელი კლუბი იყო შენით დაინტერესებული?

— ყველაზე რეალური „ვალდჰოფი“ იყო. სხვა საინტერესო წინადადება არც მიმიღია.

— ეუგენ ჰახს, ალბათ, მოსამზადებელ ეტაპზე ნათამაშები ამხანაგური მატჩების შემდეგ უფრო მიეცა შენი იმედი...

— მეც ეგივეს ვფიქრობ. მითხრა კიდეც, იმ მატჩებში თავი კარგად დამამახსოვრე და აუცილებლად დამჭირდებიო.

— აქედან გამომდინარე, მეორე წრის პირველ ტურში, „დუისბურგთან“ შეხვედრაში, შენს თამაშს ველოდით...

— მეც ველოდი, მაგრამ... იმედი მაქვს, მალე თამაშიც მომიწევს. ყოველ შემთხვევაში, ჰახის სიტყვის მჯერა. ახლაც თავგამოდებით ვვარჯიშობ და შანსს ველი.

— საქართველო—მოლდოვას ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში ალბათ, თბილისში გიხილავთ...

— გავიგე, მაგ თამაშისთვის ნაკრებში მიხმეს, მაგრამ გამოძახების ფურცელი ჯერ არ მიმიღია. თუ მომივიდა, ცხადია, ჩამოვალ.

ძახა შალამბერიძე

თამაშს დანატრებულ გიორგი დეკანოსიძეს (ზურთით) „ფიურტი“ ვერ შეელია

იგებს შერიფი, იწყება ქეიფი

თარხნიშვილი ჩივაძეს თარხნიშვილს დაუწუნებს, შაშიაშვილს უწონებს

მას მუდამ ნიჭიერ და საზრიან მოთამაშედ მიიჩნევდნენ, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში წლობით მობურთალს ნამდვილი ალიარება არ ღირსებია. ბევრი ითმინა და იწვალა, სანამ გორის „დილადან“ დედაქალაქურ „ლოკომოტივში“, იქედან კი მოლდოვურ „შერიფში“ გააღწევდა. სწორედ იქ, იმ დროისთვის მოკრძალებულ „შერიფში“, მიაგნო ვაჟა თარხნიშვილმა სასურველ გუნდს, ტიტულებიც მალევე მოიხვეჭა და საფეხბურთო დნესტრისპირეთშიც პოპულარული შეიქნა.

კვირას „შერიფის“ ქართველმა კაპიტანმა თანამეგობრობის თასი ჩაიბარა. ტირასპოლში ჩასულ გუნდს ქომაგებმაც შესაშური დახვედრა მოუწყვეს. თარხნიშვილი კი ავტოგრაფების დარიგებას ვერ აუდის. გუშინ, ნაშუადღევს, ქალაქში ავტომანქანით მოსეირნე და „სარბიელთან“ მობილური ტელეფონით მოსაუბრე ჩვენებური ტირასპოლელმა ავტოინსპექტორებმა დააკავეს. ჩვენი სატელეფონო ინტერვიუც რამდენიმე წუთით შეწყდა. ხელმეორედ რომ დავუკავშირდით, კარგ ხასიათზე იყო და კითხვებზეც ხალისიანად გვპასუხობდა

ვაჟა თარხნიშვილმა (მარჯვნივ) თასი მოსკოვიდან ტირასპოლში წაიღო

— ლაპარაკში გართულს მეგონა, მოძრაობის წესები დავარღვიე, ავტოინსპექტორებს საბუთები უხალისოდ გავუწოდე, სრული კაპიტულაცია გამოვაცხადე და ჯარიმის გადასახდელადაც გავემზადე, მაგრამ საბუთები ღიმილით დამიბრუნეს, ფურცელი და ავტოკალამი გამომიწოდეს და ავტოგრაფი მთხოვეს.

— ქომაგები, ალბათ, ხშირად „გაწუხებენ“.

— ასეთ პატივში მარტო მე როდი ვარ. „შერიფის“ ყველა მოთამაშე დაფასებულია. აქ ფეხბურთის ბუმია, ტირასპოლში სამუშაო გრაფიკსაც საფეხბურთო მატჩების მიხედვით ადგენენ. ყოველი მოგებული თამაშის შემდეგ ქომაგები ნამდვილ დღესასწაულს აწყობენ.

— სადღეისოდ „შერიფს“ თითქმის ყველაფერი აქვს. ევროპული დონის ბაზა და ახალი სტადიონი. ფეხბურთელები პირობებზე ვერ დაიწუწუნებენ. ამის სანაცვლოდ კი რას მოითხოვს კლუბის ხელმძღვანელობა?

— მათ ჩემპიონობა სურდათ და მიიღეს, თასის მონაგრება მოინდომეს და გუნდმა ისიც მოიგო. თანამეგობრობის თასიო, თქვეს და ტირასპოლში ვაახლეთ. ახლა მიზნად ისევ ჩემპიონობა და მერე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა დავვისახეს.

— ამდენს გასწვდება კლუბის ბიუჯეტი?

— ფულზე ლაპარაკი არ არის. მწვრთნელია საჭირო, მოჰყავთ მწვრთნელი. ლეგიონერებით გაძლიერებაზე ჩამოვარდება სიტყვა და არის ლეგიონერიც. უცხოური შეკრებები და სხვა სიკეთეც „შერიფს“ არ აკლია.

— როგორ გგონია, ჩემპიონთა ლიგაში შესაღწევად ეს საკმარისია?

— კლუბის პრეზიდენტი გუშანი თავისებური ხასიათის კაცია. მან უკანდახევა არ იცის. რამეს ჩაიფიქრებს და მიზანს აუცილებლად მიაღწევს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო. გუშანს მწვრთნელად რუმინელი გავრილ ბალინტი ურჩიეს. თავის დროზე ბალინტს „სტიაუას“ რიგებში ჩემპიონთა თასი მოუგია, კლუბსა და ნაკრებში ჰაჯის გვერდით უთამაშია, „გალათასარაიში“ ლუჩესკუს თანაშემწე ყოფილა და „შერიფზე“ გაცილებით ტიტულიანი გუნდებიც იწვევდნენ სამუშაოდ, მაგრამ გუშანმა მისი ტირასპოლში ჩატყუება და იქ დასაქმებაც გაახერხა. ამიტომაც ვამბობ, რომ „შერიფი“ წლეულს და მომავალ წელს თუ ვერა, მერე მაინც შეაღწევს ჩემპიონთა ლიგაში.

— ...და შენც „შერიფის“ ლიგაში მოხვედრას დაელოდები?

— კლუბის ხელმძღვანელობა არ მემდურის, მწვრთნელთან ნორმალური ურთიერთობები მაკავშირებს. კონტრაქტი მომავალ წელიწადს მიმთავრდება, მაგრამ, ალბათ, ახალ ხელშეკრულებასაც გავაფორმებ და ვნახოთ, რა გამომივა.

— რუსული პრესა იტყობინება, თარხნიშვილს მოსკოვური კლუბები იწვევენო...

— კონკრეტულად ჩემთვის არავის მოუმართავს, მე ტირასპოლშიც კარგად ვგრძნობ თავს, ვფიქრობ, საჩემო გუნდი უკვე ვიპოვე და სხვაგან წასვლას, ყველაფრის თავიდან დაწყებას არ ვაპირებ.

— მოედანს კიდევ დიდხანს გინდა შემორჩე?

— ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად თავს ჩინებულად ვგრძნობ. ამიტომ გადავწყვიტე, სამიოდ წელიწადი კიდევ ვითამაშო. ამასობაში 35-საც მოვიყრები და მერე ნამუსიც კარგი საქონელია, საპენსიოდაც გავემზადები.

— თანამეგობრობის თასზე, ნაფინალევს, „შერიფი“ საპატიო წრეს რომ უვლიდა, მისი ფეხბურთელები დნესტრისპირეთის დროშას აფრიალებდნენ. ამან მოლდოვაში უკმაყოფილება ხომ არ გამოიწვია?

— მე უფრო საბჭოთა კავშირისა მეგონა. დიდი ყურადღება არც მიმიქცევია. წითელი ფერის დროშა ჩვენს ნიგერიელ ლეგიონერს შემოეხვია და აღმა-დაღმა დარბოდა. მეორე თანაგუნდელი კი მოლდოვისას აფრიალებდა. მაშ, დნესტრისპირეთისა იყო? თითქოს ნამგალი და ურიკ დავლანდე. არ ვიცი, ვინ მიაჩერა ის დროშა ნიგერიელს და არც რაიმე გართულება მოყოლია მის ფრიალს.

— გუნდში შენი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ არა მგონია, „შერიფში“ ქართველებს ალმაცერად უყურებდნენ, თუმცა თარხნიშვილისა და მუჯირის გარდა იქ ფეხი ვერცერთმა ჩვენებურმა ვერ მოიკიდა.

— როგორ აგიხსნათ, ვინც ტირასპოლში საქართველოდან ჩამოვიდა, ყველა ნიჭიერი იყო, მაგრამ მწვრთნელები მაშინ ხშირად იცვლებოდნენ და გუნდიც თითოეულის გემოვნებით ყალიბდებოდა. ზოგი ნამდვილი „დიქტატორი“ იყო, ზოგსაც კავკასიელები არაფრად ეპიტნავებოდა და ნელ-ნელა ჩვენებურებიც გაიკრიფნენ.

— გავრილ ბალინტი რა ტიპის მწვრთნელია?

— დემოკრატი კაცია. წყენის გულში ჩადება, ფეხბურთელის ამოჩემება არ სჩვევია. მუდამ მზად არის დიალოგისთვის. ცდილობს, მოთამაშე მისი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნოს, მერე კი, თუ საშველი არ იქნა, გაურჩებული ვერ მოარჯულა, მშვიდობიანად უშვებს გუნდიდან. ამ თვისების გამო ბალინტს ყველა შერიფელი აფასებს.

— დღემდე ეროვნული გუნდის მაესურა ორჯერ მოგირგია, ნაკრებში დაბრუნებას არ ისურვებდი?

— ამ სიბერეში რა დროს ჩემი ნაკრებში თამაშია...

— ალექსანდრე ჩივაძემ რომ დაგიძახოს, არ ჩამოხვალ? მით უფრო, როცა 12 თებერვალს თბილისს მოლდოვის გუნდი ეწვევა.

— თუ მართლა საჭირო ვარ, ჩამოსვლაზე უარს როგორ ვიტყვი და თავსაც არ დავზოგავ, მაგრამ ნაკრებში თარხნიშვილის თამაში სამომავლო საქმეს წაახდენს. მალე 32 წლისა შევსრულდები, ეროვნულ გუნდში კი ჩემს პოზიციაზე გიორგი შაშიაშვილი თამაშობს, ნიჭიერი და ალღოიანი ცენტრალური მცველი, რომელსაც მაღალ ღონეზე ბურთაობის პერსპექტივა კიდევ რამდენიმე წელიწადს ექნება. საქართველოში კიდევ არიან ახალგაზრდა, მომავლის მქონე ბიჭები. მათი უგულებელყოფა და თარხნიშვილის გამოძახება ნამდვილად მცდარი გადაწყვეტილება მგონია. ჩემი ასაკის მოთამაშეებით დაკომპლექტებულ ნაკრებსაც არანაირი პერსპექტივა არ ექნება.

— საბოლოოდ საქართველოდან აბარგებას და ოჯახით ტირასპოლში დაფუძნებას ხომ არ აპირებ?

— ჯერჯერობით არაფერი გადაწყვეტია. მე არ ვიცი, როგორ შეიცვლება ტირასპოლში სამომავლო ვითარება. თანაც ჩემი მშობლიური ქალაქი, ძველი ნაცნობ-მეგობრებიც ძალიან მეგულებიან. შვილებიც იქაურობას არიან გაჩვეულები. ამიტომ კარიერის დასრულების შემდეგ, ალბათ, შინისკენ გავეშურები.

მამუკა კვანტალიანი

ან ფული, ან სული

ეტას ლიზარაზუს მილიონები არ ეთმობა

ბიქსენტ ლიზარაზუმ წერილი მიიღო. გასაკვირი რაა, ბევრი ფეხბურთელი თაყვანისმცემელთა მრავალ წერილს იღებს და ალბათ, კითხულობს კიდეც. ზოგი საყვარელი ფეხბურთელის ფეხის ზომით არის დაინტერესებული, ზოგიც ოჯახური მდგომარეობით. ისეთებიც არიან, ვისაც კერპების მთელი დღის განრიგი ადარდებს, მაგრამ ლიზარაზუსადმი მიწერილი წერილი სულ სხვა შინაარსისაა. ბასკური წარმოშობის ფრანგს მსგავსი არაერთხელ წაუკითხავს და ალბათ სანგვე ყუთშიც მოუსვრია, თუმცა თმა ერთი ჭაღარა ღერით მაინც გამდიდრებია.

ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა“ ლიზარაზუს დღემდე არ ასვენებს და „საწვეროს“ გადახდას სთხოვს.

ესპანეთის ჩემპიონატში უამრავი უცხოელი თამაშობს, თუმცა ბილბაოს „ატლეტიკა“ თავისი ტრადიციული მეთოდებით გამოირჩევა. ბილბაოელები გუნდში უცხოელს არ აჭაჭანებენ — ეს უნიკალური კლუბია. მისი მაისურის მორგება მხოლოდ ბასკთა ხვედრია. საინტერესო ისაა, რომ შინაური ხალხით „ატლეტიკმა“ ერთი რამ მოახერხა — ის არასდროს გავარდნილა პრიმერადივიზიონიდან, ხოლო რვაჯერ ესპანეთის ჩემპიონობას შესწვდა. ამასობაში პრიმარადივიზიონმა 72-ე ჩემპიონატი დათვალა.

დაახლოებით ექვსი წლის წინ ერთი პრეზიდენტი მაინც დაუშვეს. ბილბაოს „ატლეტიკმა“ ფრანგი მცველი ბიქსენტ ლიზარაზუ შეიძინა. ბასკური წარმომავლობის ფრანგთა ინტერესებს ლიზარაზუ არასდროს ღალატობდა. ის თავის დროზე იქაურ ჯარშიც კი მსახურობდა.

ბილბაოელებმა ცალი თვალი დახუჭეს ლიზარაზუს ფრანგობაზე და დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ ახალწვეულმა ბასკეთი მიატოვა და გერმანიაში, მიუნხენის „ბაიერნში“ გაქუსლა. სრულიად ბილბაოს ახსოვს 1997 წლის 25 ივნისი, როცა ფეხბურთელი გუნდიდან წავიდა. ქომაგებმა ლიზარაზუს კოხტა ავტომობილი ხურდა ფულით და ბოთლებით დაკაწრეს. „შენ ისე წახვედი, რომ ჩვენთვის სახეირო არაფერი გაგიკეთებია, ფულზე გაგვცვალე!“ — მიაძახეს წამსვლელს.

მას შემდეგ ბიქსენტ ლიზარაზუმ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა დააჭაშნიკა, რაც ალბათ ბასკურ სათვისტომოს უნდა ეამაყებოდეს კიდეც, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ორივე ჯილდოსთვის მთლიანობაში მილიონ 200 ათასი დოლარი მიიღო. სწორედ ეს ფული არ ასვენებს „ეტა“-ს და ამჯერად უკვე მერამდენედ ფეხბურთელს „წილს“ სთხოვს. ზემოხსენებული მილიონ 200 ათასის გაჟერების შემდეგ ფეხბურთელის მშობლებმა ლამაზად გაფორმებული კონვერტი მიიღეს. კონვერტს „ეტა“-ს ბეჭედი ამშვენებდა — ცული და მის ტარზე შემოხვეული გველი. მასში წერილი იყო, დაახლოებით ასეთი შინაარსისა: „შენ ჩვენი მოსისხლე მტერის, საფრანგეთის ნაკრების მაისურით თამაშობ. ან გადმორიცხე ფული ბასკეთის თავისუფლების ფონდში და ფეხბურთის თამაში გაგრძელე, ან შენი ახლობლების საფლავებზე სიარული მოგიწევს“.

ეს ამბავი ლიზარაზუმ რომ შეიტყო, ვინძლო, გვარიანად დაშინდა, მაგრამ ჯერჯერობით ძალას „ეტაა“ და ძალას ბიქსენტი. ფეხბურთელი ტერორისტებთან „ჭიქის აწევაზე“ უარს ამბობს, ის ნამდვილად უშიშარია და ეგებ „ბაიერნის“ ფეხბურთელებთან გამუდმებული დაკა-დაკათი „ეტას“ დაშინებასაც ცდილობს.

ვაჟა ხუციშვილი



ბიქსენტ ლიზარაზუს თავს ბურთი და ცული ამშვენია

ხავერდოვანი რევოლუცია კამპ ნოუზე

გასპარმა ვან გაალს გადადგომა ხუთ მილიონად ათქმევინა

ბარსელონას ახალი დროებითი ძველი რქსაჩია



რვა თვე დაჰყო ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა „ბარსელონას“ სათავეში — გუშინ იგი გადადგომას დათანხმდა. ეს მეორედ ხდება. პირველად ვან გაალი „კამპ ნოუდან“ 2000 წელს წავიდა. მაშინ ჰოლანდიელს უფრო გაუმართლა, სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ დასტოვა პოსტი.

„ბოლოდროინდელი შედეგების გამო და პრეზიდენტთან, ხუან გასპართან საუბრის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ კლუბისთვის ამ ეტაპზე, ჩვენი გზების გაყრა უმჯობესი იქნებოდა — უთხრა ვან გაალმა ჟურნალისტებს — დღეს, „ბარსელონაში“ შექმნილი ატმოსფერო ფეხბურთელებზე ჩემზე მეტ გავლენას ახდენს. შესაბამისად, გუნდს ზიანი რომ არ მივაყენო, მივდივარ“.

მოგეხსენებათ, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ბარსამ“ ვიგოს „სელტასთან“ 0:2 მარცხი იწვნია და მე-12 ადგილზე აღმოჩნდა. თან, მეთორმეტე ადგილიც არის და მეთორმეტე ადგილიც — კატალონიელთა სიამაყეს გასავრდნთა ზონისგან სამად სამი ქულა აშორებს.

მაგრამ „ბარსელონას“ ევროშედეგები ესპანურისგან ძლიერ განსხვავდება, მას შეიძლება დიდებულიც ვუწოდოთ. ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 10 გამარჯვება კონტინენტის რეკორდის გამეორებაა. ზამთრის არდადეგებს გუნდი A ჯგუფის სათავეში, „ინტერთან“ ტოლი ქულებით შეხვდა.

თუმცა, დავუბრუნდეთ ესპ. ნეთს. როგორც მოგახსენეთ, დღეს „ბარსა“ მე-12 ადგილზეა. ეს კი ამ კლუბისთვის ერთგვარად სახლვარზე დგომას ნიშნავს, რადგან კატალონიელების ყველაზე ცუდი საბოლოო შედეგი, 1942 წელს სწორედ მე-12 ადგილი გახლდათ. მას მერე გუნდი მარად ცხრილის ზედა ნახევარშია და მეტიც, ერთხელ არ მომხდარა ევროსარბიელზე არ გასულიყოს. ახლა, უფრო სწორად ჯერჯერობით, ერთიცა და მეორეც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

რამ მიიყვანა საქმე აქამდე? ყველაფრის მაინცდამაინც ვან გაალისთვის გადაბრალება რამდენად სწორია, ვერ გეტყვით, მაგრამ ჰოლანდიელი რვა თვის წინ „კამპ ნოუზე“ შევიდა თუ არა, პირველი რაც გააკეთა, სამი წლის წინ ათვალწუნებული რივალდოს გაშვება იყო. რივალდო, მოგეხსენებათ, „მილანში“ გადავიდა, ვან გაალმა კი მთელი იმედი არგენტინელ ხუან რომან რიკელმეზე დაამყარა, თუმცა იჩქარა. რაგინდ ნიჭიერი იყოს ახალგაზრდა, უცხო ქვეყნის ჩემპიონატთან შეგუებას და, მით უმეტეს, იმხელა გუნდის ლიდერობას, როგორიც „ბარსელონაა“, დრო და ცოტა გამართლება უნდა.

ჰოლანდიელი იმედის თვალით „ლაციოსგან“ ნათხოვარ გაისკა მენდიეტასა და გერმანელ მეკარეს, რობერტ ენკესაც უყურებდა, მაგრამ მას რომ სურდა, ისე ვერც ერთმა ითამაშა და ვერც მეორემ.

და განგაშის პირველმა ზარმა მეოთხე ტურში ჩამოჰკრა, როდესაც „ბარსამ“ „ბეტისთან“ 0:3 წააგო. მას მერე ვან გაალს კრიტიკოსთა საწინააღმდეგოდ მხოლოდ ერთი არგუმენტი მოჰქონდა — ჩემპიონთა ლიგის შედეგი.

დეკემბერში იყო ასეთი შემთხვევაც, როდესაც „ბარსელონას“ „სევილიამ“ ავჯობა 3:0, ვან გაალს, სერიოზულად შეუდგა წყალი, მაგრამ შემდეგ ტურში მალიორკაში 4:0 გამარჯვებამ იხსნა.

„მწყინს, რომ როგორც მწვრთნელმა კატალონიელ ქომაგებს იმედი ვერ გავუმართლე — ამბობს ჰოლანდიელი, — მაგრამ ერთხელაც მინდა გავიმეორო, რომ ჩემს შემცვლელს მხარი კლუბის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მედიამ უნდა დაუჭიროს. „ბარსელონა“ ნებისმიერ ადამიანზე მნიშვნელოვანია. მართალია, ფეხბურთელებიც გვერდში მედგნენ და ვგრძნობ კიდეც, რომ ჩემზე უკეთ ამ გუნდს ვერავინ ათამაშებს, მაგრამ ჯობს წავიდე“.

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტის დარღვევისთვის „ბარსელონას“ ვან გაალისთვის 6 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა, მაგრამ ხუან გასპარმა ჰოლანდიელი 5 მილიონ ევროზე დათანხმა და მწვრთნელის გაშვება მის გადადგომად გაფორმდა.

„ზაფხულზე ვან გაალი რომ მოვიყვანე, არ ვნანობ — განუცხადა გასპარმა მედიას — შანსი რომ მქონდეს, ახლაც იგივეს გავაკეთებდი“.

უმწვრთნელო „ბარსას“, დროებით მაინც კატალონიელთა მწვრთნელთაფილი, ამჟამად გუნდის ტექნიკური დირექტორი კარლოს რექსაჩი გაუძღვება.

პაპუნა კედია

რივალდო ჩინეთში მიდის

პარეირამ მილანელი საამხანაგოდ შეიგულა



ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა ჩინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში რივალდოს გამოიძახებს. ეს მატჩი 12 თებერვალს განგუუში გაიმართება.

„რივალდო ნაკრებში იქნება. საერთოდაც, გუნდში მეტწილად 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებს მოვიწვევ. ბუნებრივია, რივალდოც მათ შორისაა“ — განაცხადა პარეირამ.

პირველმა რაუნდმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, „მაიამის" სათადარიგო სკამთან მიჭრილმა არტესტმა და რაილიმ რამდენიმე „ზრდილობიანი" სიტყვა გაცვალეს. მაიამელთა ბანაკში კი ინდიანელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ მათი წინამძღოლისთვის თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა. აქაოდა, მაიამელ კერონ ბატლერთან შეკამათებისთვის მსაჯებმა ტყუილუბრალოდ დამაჯარიმესო. რაილის და არტესტს შორის ხავმა ბოლო მეოთხედამდე გასტანა და მერე რაც მოხდა, მხოლოდ არტესტს თუ დავადანაშაულებთ. იმავ ბატლერთან ორთაბრძოლაში ინდიანელი კვლავ დააჯარიმეს და რატომღაც, განრისხებული არტესტი დასარტყმელად შემართული მუშტით „მაიამის" მეორე მწვრთნელ კიტ ატკინსს მივარდა, თუმც მუშტების მაგივრად უხამსი სიტყვები დაყარა. რაილი ასისტენტს გამოესარჩლა. ასე განრისხებული და აჭარხლებული პატ რაილი, როგორც ამერიკელი კალმოსნები იტყობინებიან, არავის ახსოვს. „მაიამის" თავკაცმა იქით შეუტია მომხვდურს და რბილად რომ ვთქვათ, ასეთი რამ უთხრა: შენ ჩემთან ტლიკინის უფლება არ გაქვს და აქედან გაეთრიეო. ამ ინციდენტის შემდეგ მატჩიც დასრულდა და კარგა ხანიც გავიდა, მაგრამ რაილის სახეს წითელი ელფერი არ მოსცილებია: „ლიგამ თავიდან უნდა მოიშოროს ასეთი უზრდელი მოთამაშე. მე შეშლილივით ვყვიროდი, არტესტის მოქმედებამ ჭკუიდან გადამიყვანა. ყველაფერი მახსოვს, მსაჯებთან, კომისრებთან და ჩემს მოთამაშეებთან კამათი, მაგრამ მეტოქე კალათბურთელთან არასოდეს მიჩხუბია. არავის აქვს ჩემს სათადარიგო სკამთან საკამათოდ მოსვლის უფლება, მით უმეტეს, უცხო გუნდის მოთამაშეს".

ინდიანელთა დამრიგებელმა აიზია ტომასმა უფრო მშვიდად შეაფასა მომხდარი და არტესტი შეაქო კიდეც, ოღონდ მისი კარგი თამაშის გამო: „ის ასეთია და რა ვქნათ. ხანდახან მოედანზე ჯოჯოხეთურ სცენებს დგამს და ცოტა თავის მოოკვა მართებს. მისი თამაშით კი კმაყოფილი დავრჩი, ჩვენს გამარჯვებაში არტესტს დიდი წვლილი მიუძღვის".

ეს ამბები ალბათ არც მოხდებოდა, რომ არა ამ მატჩის თანმდევი დაძაბულობა. უხეირო „მაიამიშ" შინ დიდი წინააღმდეგობა გაუწია აღმოსავლეთის ლიდერს და ბოლოსღა დათმო. ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია იმით „გამოირჩა", რომ მისთვის შეუფერებელი, მხოლოდ 2 მოხსნა დაუგროვდა. სამაგიეროდ, ქართველმა 9 ქულა გააკეთა, რაც 16 წუთის კვალობაზე არაა ურიგო შედეგი.

ირაკლი ბერტაია

ALL STAR 2003. ATLANTA



ახლოვდება 8-9 თებერვალი — ყოველწლიური საკალათბურთო ყველობის „ოლ სტარის" უქმეები. წლეულს მასპინძელი ჯორჯიის შტატის მთავარქალაქი ატლანტაა და იქ წამსვლელ ვარსკვლავთა ვინაობაც თანდათან ირკვევა.

სულ ახლახან გასრულდა კალათბურთის ქომაგთა საინტერნეტო გამოკითხვა — ხალხს ევალებოდა, ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის ორი — აღმოსავლური და დასავლური სასტარტო ხუთეულები შეედგინა. 7-7 სათადარიგოს რამდენიმე დღეში დაასახელებენ ნბა-ში მომუშავე მწვრთნელები



ნამუსი ყველგან კარგი საქონელია
დიდი ჩინეთი შაკილ ონილს ეშმაკის მანქანებით მოერია

ხალხი ხალხია. გულშემატკივართა გადმოსახედიდან ცუნცულა აივერსონი ბრძენ ჯეისონ კიდზე უკეთესია, ამიტომაც აღმოსავლეთ ვარსკვლავთა დამწყებ ხუთეულში ის ითამაშებს. მოსალოდნელი იყო ხუთეულში ვინს კარტერის შეყვანაც და ასეც მოხდა, არადა, ტორონტოელ კაც-რაკეტას წლეულს თამაშების მეტი წილი ტრავმის გამო გაუცდა. სამაგიეროდ, მისისიპსაქეთა ვარსკვლავთა პირველ ხუთკაცაში ადგილი ვერ მოიძებნა მაიკლ ჯორდანისთვის, რაც აგრეთვე მოსალოდნელი იყო, რაკი ჯორდანი თავის „ვაშინგტონშიც" ვერაა პირველი, თუნდაც ქულების მოხვეჭის ამბავში. ისე, ჯორდანისა და მასთან ერთად მისი გუნდის ლიდერის ჯერი სტეკჰაუზის ატლანტაში გამოჩენა ალალი იქნება, თუ სასტარტო არა, სათადარიგო აღმოსავლელ ვარსკვლავთა რანგში მაინც.

სრულყოფილი არც დასავლელთა ხუთეულს ეთქმის. სხვა საქმე იქნებოდა, ხალხს შარშანდელი ვარიანტი (ფრენსისი-ბრაიანტი-გარნეტი-დანკანი-ონილი) რომ აერჩია და ყველაფერი თითქოს აქეთ მიდიოდა, მაგრამ არჩევნებში სერიოზულად ჩაერია ჩინელი ერი.

გოლიათმა ჩინეთმა ამ რამდენიმე წლის წინ კი გამოიღვიძა, მაგრამ არა გვგონია, ჩამავალი კომუნიზმის ქვეყანაში ცივილიზაცია ისე ჩქეფს, რომ ყოველ ოჯახში ჰქონდეთ კომპიუტერ-ინტერნეტი. ამის მიუხედავად, ამ ვეებერთელა ქვეყანაში, ეტყობა, მაინც იმდენი ინტერნეტ-წერტილი მოითვალა, რომ ჩინელი ერის ერთიანმა და მტკიცე სურვილმა დასავლეთის სასტარტო ხუთეულიდან შაკილ ონილი ამოაგდო და იქ იაო მინგი ჩასვა.

მინგი კარგი ბიჭი და გადასარევი მონაცემებით უხვად მომადლებული მობურთალია. ალბათ მალე მოვა დრო, როცა ეს 226-სანტიმეტრიანი ჩინელი ნბა-ს დაიპყრობს. მაგრამ სადღეისოდ მინგი დევშაკის წონის კალათბურთელი ვერაა, რაც თუნდ ციფრებიდან ჩანს. ჩინელის საშუალო შედეგიანობა 13 ქულას არ აღემატება, როცა შაკილისა 27 ქულას უტოლდება. ამის მიუხედავად, ონილი ცხოვრებაში პირველად ყველა ვარსკვლავთა მატჩის დასაწყისს სათადარიგოთა სკამზე შეხვდება, რაკი მას მინგზე 200 000 კაცით ნაკლებმა მისცა ხმა.

ამ დღეებშივე გაირკვა „ოლ სტარის" შოუს შემადგენელი სხვა კონკურს-ტურნირების მონაწილეთა ვინაობაც. დიდების „ოლ სტარში" 9 თებერვალს სათამაშოდ გადადებული მინგი ნამდვილად ვერ შეძლებს ერთი დღით აღრე ახალგაზრდების სარბიელად იქცა და იქ ისეთები ხვდებოდნენ, რომლებიც თავიანთ გუნდებში მე-11-მე-12 კაცად ითვლებოდნენ. წლეულს ჩამტენავ ოთხეულში საშუალო კალიბრის ბიჭები მოხვდნენ. მათ შორისაა ახალბედა-სენსაცია ამარე სტუდემაიერი.

ასევე ძირითადად საშუალო დონის მობურთალები არიან სნაიპერები. სამქულიანების სროლის ოსტატი ექვსი კონკურსანტიდან მხოლოდ ორია ნაღდი ვარსკვლავი — ბოსტონელი ანტუან უოლკერი და შარშანდელი გამარჯვებული და წლეულსაც ფავორიტი საკრამენტოელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი.

ირაკლი ფირაჯვილი





იყო დრო, ჩატენვებში ერთმანეთს ლეგენდები ეპაექრებოდნენ (პირველ ფოტოზე 1985 წლის კონკურსანტები — მარცხნიდან პირველი ზის ჯულიუს ირვინგი, მესამე დომინიკ უილკინსი; დგანან პირველი კლაიდ დრექსლერი, მეორე მაიკლ ჯორდანი), ახლა კი ეს კონკურსი ჯეისონ რიჩარდსონის და მისთანების შეჯიბრია

დიდი ოლ სტარის ხუთეულები

აღმოსავლეთი

გამთამაშებელი — ალენ აივერსონი (ფილადელფია)
მსროლელი — ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო)
ფრთა — ვინს კარტერი (ტორონტო)
თავდამსხმელი — ჯერმენ ონილი (ინდიანა)
ცენტრი — ბენ ვოლესი (დეტროიტი)

დასავლეთი

გამთამაშებელი — სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი)
მსროლელი — კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
ფრთა — კევინ გარნეტი (მინესოტა)
თავდამსხმელი — ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
ცენტრი — იაო მინგი (ჰიუსტონი)

მცირე ოლ სტარის მონაწილენი

ახალბედები

დეჯუან ვაგნერი (კლივლენდი)
კარლოს ბუზერი (კლივლენდი)
კერონ ბატლერი (მაიამი)
გორდან გირიჩეკი (მემფისი)
დრიუ გუდენი (მემფისი)
ნენე ილარიო (დენვერი)
ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)
ჯეი უილიამსი (ჩიკაგო)

მეორეფლიანები

პაუ გასოლი (მემფისი)
ჯეისონ რიჩარდსონი (გოლდენ სტეიტი)
ჯილბერტ არენასი (გოლდენ სტეიტი)
ტრეი მერფი (გოლდენ სტეიტი)
ტაისონ ჩანდლერი (ჩიკაგო)
ჯამაალ ტინსლი (ინდიანა)
ტონი პარკერი (სან ანტონიო)
ანდრეი კირილენკო (იუტა)
რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი)

სნაიპერთა კონკურსი

პატ გარიტი (ორლანდო)
ვესლი პერსონი (მემფისი)
ბრენტ ბერი (სიეტლი)
პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო)
დევიდ ვესლი (ნიუ ორლეანი)
ანტუან უოლკერი (ბოსტონი)

ჩატენვების კონკურსი

ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)
რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი)
ჯეისონ რიჩარდსონი (გოლდენ სტეიტი)
დესმონდ მეისონი (სიეტლი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხივი კეთილი

შეხედეთ დიდვარსკვლავთ და თქვენც თქვით: არ დაეცე, დადექ, იცხოვრე!

ისინი ყველა დროის დიადი ჩემპიონები არიან...

ანდრე აგასი კორტზე კვლავაც სხვათაგან გამორჩეული დახვეწილობით ირჯება და ეს-ესაა, 32 წლისამ ავსტრალიურ პაპანაქებაში კარიერის მერვე სლემტიტული მიითვალა.

მაგრამ ისიც კი მოსწავლეა 46 წლის მარტინა ნავრატილოვასთან შედარებით, ვინაც მელბურნიდან — როგორც ყველა დროის უხნესმა მესლემტიტულემ — კარიერის 57-ე სლემტიტული წაიღო.

ჯერი რაისი 40 წლისაა, მაგრამ გასულ კვირას მორიგი სასუპერბოულო ლელო გაიტანა — და მერე რა, რომ „ოკლენდ რეიდერს" „ტამპა ბეის" წინააღმდეგ ამით მაინც ვერაფერი არგო.

მაიკლ ჯორდანს 40-წლოვან იუბილემდე სამი კვირაღა აკლია, ის კი მატჩში საშუალოდ 35 წუთს თამაშობს და 18,2 ქულას იხვეჭს, ხოლო მის მიერ ნაყოჩარი „ვაშინგტონ ვიზარდსი" ნელ-ნელა საპლეიოფო მარაქას უახლოვდება. მარტში 41 წელი შეუსრულდება იუტელ ჯონ სტოქტონს, მაგრამ მეპასეთა შორის წლეულს ის მაინც მეოთხეა, მისი 39 წლის თანაგუნდელი კარლ მელოუნი კი ჯაზმენთაგან კვლავაც ყველაზე მეტ ქულასა და მოხსნას აგროვებს.

ეს ზეპური ათლეტები, და მრავალი მათი თანამოასაკე სპორტის სხვა სახეობებიდან, ახლა გაცილებით უფრო დიდხანს ახერხებენ უმაღლეს დონეზე ჩაუქრობას. ისინი არა მხოლოდ კეთილსინდისიერად ასრულებენ მათ მოვალეობებს, არამედ — თავიანთ გამორჩეულ შესაძლებლობათა ზღვარზე მოქმედნი — ხშირად რეკორდებსაც ამხობენ.

ამგვარ ასაკოვან სპორტსმენთა ხომლს ყოველი ეპოქა მოიძევდა, მაგრამ ჭარმაგ ვარსკვლავთა ამჟამინდელი სიმრავლე მართლაც გაოცებას იწვევს. უკეთესი სავარჯიშო მეთოდები, უმჯობესი კვება და გაზრდილი საპრიზო ფონდები საშუალებას აძლევენ და აგულიანებენ კიდეც მათ, უფრო დიდხანს და უფრო შედეგიანად ილვაწონ თავიანთ სარბიელებზე.

მათი მოხშირებული ტრიუმფების შემყურეთ როგორღაც ჩვენც გვეკარგება ასაკის შეგრძნება და — ჰმ! — რაღაც-რაღაცებს დასრულებულად უკვე აღარც ჩვენ მივიჩნევთ.

ამ დიადმა ხალხმა შეძლო, ადამიანურ შესაძლებლობათა თამასები გაცილებით უფრო მაღალ ნიშნულებზე შემოედო და მილეთიც უკვე მათ მიხედვით აითვლის დროსა და სივრცეს.

სიჭაბუკეს ყველა სფეროში ეთაყვანებიან, და არა მხოლოდ სპორტში, მაგრამ მარტინა ნავრატილოვას დარი ჩემპიონები ახალ მნიშვნელობას სძენენ მას და ცხადყოფენ, რომ ამ ცნების სემანტიკა ახლა შეუდარებლად უფრო მდიდარია.

როცა ანდრე აგასი 40-გრადუსიან სიცხეში თავისზე უმცროს მეჩოგნეებს ძალდაუტანებლად ამარცხებს, როცა 31 წლის პიტ სამპრასი ახერხებს, კარიერის მე-14 სლემტიტული შესაშური სინატიფითა და დამაჯერებლობით მოიმკას, ანდა როცა მათკბილა ლანს არმსტრონგი, უკურნებელი სენის ძლევის შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ იგებს ტურ დე ფრანსს, აშკარა ხდება, რომ ასაკობრივი და ფიზიკური მიჯნები აღარ არსებობს...

თავის უმცროსი დისგან ზედიზედ მეოთხე სლემფინალში ძლეულმა ვინუს უილიამსმა თქვა, რომ მას არ სურს, იყოს მხოლოდ ოთხი სლემტიტულის მომგები მოთამაშე,

„როცა დიადთა მონაგარს უყურებ — ზოგს 20 და უფრო მეტი სლემტიტულიც მოუგია. მაგრამ მათი მიღწევების გასამეორებლად მე დიდი გზა მაქვს გასავლელი და — ვაგლახ — რა მცირე დრო".

არადა:

ვინუსი ახლა მხოლოდ 22 წლისაა, მას შეუძლია, სულ მცირე, ათი წელი და 40 სლემტურნირი ითამაშოს და ამის მერეც ის კიდევ 14 წლით უმცროსი იქნება იმაზე, ვიდრე ახლა მარტინა ნავრატილოვაა.

სტივ უილსტაინი
Associated Press



მარტინა ნავრატილოვა და ანდრე აგასი დროს აღემატნენ

ირჟის მეგობრულად მოხვდა



რადეკ სტეპანეკი

მილანის ჭერქვეშა პირველობა
ხალიჩა. საპრიზო 380 ათასი ევრო

პირველი წრე

რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) 6:4, 6:3; ტომას ენქვისტი (შვედეთი) — სხენგ შალკენი (2, ჰოლანდია) 6:4, 6:3; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ნიკოლა ესკუდე (7, საფრანგეთი) 6:4, 1:6, 6:3; იარკო ნიემინენი (8, ფინეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 3:6, 6:1

ტურნირი იმით დაიწყო, რომ პირველ-მეორე ნომრებად განთესილ ჩეხ ირჟი ნოვაკსა და ჰოლანდიელ სხენგ შალკენს პირველსავე წრეში ჩოგნები დააშალითებინეს. ავსტრალიის ღია პირველობაზე რუს მიხაილ იუჟნისთან მესამე წრეში ძლეულ ნოვაკს ამ ჯერზე თვისტომი და მეგობარი რადეკ სტეპანეკი მოერია.

24 წლის სტეპანეკი კაცთა ამქრისთვის ახალი სახეა. შარშანდელი სეზონის განმავლობაში მან 479 სარეიტინგო ადგილით ზეისკუპა. სახელი კი ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში გუსტავო კუერტენის ძლევით დაიგდო. მას საოცრად ხათქუნა არეკნები აქვს და ზეათეულელი დოსტიც სწორედ ამ იარაღით დათრგუნა.

სტეპანეკი: „ირჟი და მე ხშირად ვართ ერთად. მთელი ამქრიდან ის ჩემი საუკეთესო მეგობარია. მართალია, აქამდე ფედერერის, ივანიშევიჩისა და კუერტენისთვისაც მომიგია, მაგრამ ვთვლი, რომ ეს ჩემი საუკეთესო გამარჯვებაა".

შეგახსენებთ, ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი იტალიელი დავიდე სანგვინეტია, ვინაც ფინალში როჯერ ფედერერს მოუგო.

PAN PACIFIC OPEN
ტოკიო. ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო 1,3 მილიონი $

სილვია ფარინა ელია (6, იტალია) — მარი პირსი (საფრანგეთი) 3:6, 6:1, 6:0; ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 7:5, 6:2; აი სუგიამა (იაპონია) — რიტა გრანდე (იტალია) 6:1, 4:6, 6:3

დღის გამორჩეული ამბავი მსოფლიოს ოდინდელი სამეულელის, მარი პირსისა და ამჟამინდელი მე-15-ე ნომრის, სილვია ფარინა ელიას შეხლა იყო. შეხანდაზმებულმა კანადოფრანგმა მეტოქეს პირველი სეტი კი წაჰგვარა, მაგრამ მერე ილაჯი მოისაკლისა და 12 გეიმიდან 11-ში ჩაიფლავა.

პირსის გავარდნა კიდევ ერთი დარტყმა გამოდგა ტურნირისთვის, რომელში მონაწილეობაც ტრავმების გამო ვერ შეძლეს მარტინა ჰინგისმა, ჯენიფერ კაპრიატიმ და ანა კურნიკოვამ.

ადგილობრივ მილეთში მძაფრ საჩოგბურთო შეგრძნებებს მხოლოდ მონიკა სელეშის (1), ელენა დოკიჩისა (2) და ლინდსი დევენპორტის (3) ბარაქიანი ჩოგნაობა თუ გამოიწვევს. ერთი ეგაა — ესენი ჩოგნებს სხვებზე გვიან აამუშავებენ.

სხვაფრივ კი ეგებ თავადაც გახსოვდეთ, რომ შარშანდელ ფინალში ჰინგისმა მონიკა სელეშს აჯობა.



მარი პირსი

აგასი ჰიუიტს ეწევა

კარიერის მერვე სლემტიტულის მოგებამ ანდრე აგასის საჩემპიონთარბოლო 200 ქულა და რბოლის ამ ეტაპზე უცილობელი პირველი ადგილი მოუმკა. 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში კი იგი კვლავაც მეორეზეა, ოღონდ მეპირველე ლეიტონ ჰიუიტს უკვე 235 ქულითღა ჩამორჩება.

ცნობისთვის: შარშანდელი სეზონის უკანასკნელ სიაში ჰიუიტსა და მას შორის განსხვავება 1090 ქულა იყო!

თუმცა აგასი ამბობს, რომ სიის სათავეში მოქცევა მისი მთავარი მიზანი არ არის, რომ ამის მისაღწევად იგი განრიგის გადატვირთვას არ აპირებს და დიდი სლემის ტურნირთა გარდა მხოლოდ რჩეულ ტურნირებზე გამოვა.

კაცთა სიებში ყველაზე თვალსაჩინო ნახტომი გერმანელმა რაინერ შიუტლერმა გააკეთა. რბოლაში ის სიცარიელიდან სლემფინალისტისთვის კუთვნილი 140 ქულით გამოვიდა, 12-თვიან რეიტინგში კი 36-ე ადგილიდან მე-16-მდე აღზევდა. დაწინაურდნენ ენდი როდიკი (ნახევარფინალისტი), სებასტიან გროჟანი და დავიდ ნალბანდიანიც (მეოთხედფინალისტები).

სანაცვლოდ, მე-3 საფეხურიდან მეშვიდემდე დაქვეითდა რუსი მარატ საფინი, ვისაც შარშანდელი ფინალისტობისას მოქუჩებული ქულები ჩამოეწერა — გეხსომებათ, სამესამწრეო მატჩის წინ რუსს მაჯა დაუსივდა და მან ჩოგნაობა იუარა.

4 ადგილით დაიხია უკან შარშანდელმა ნახევარფინალისტმა ტომი ჰაასმაც. წლის პირველი სლემტურნირი მან ტრავმის გამო გამოტოვა.

რაც შეეხება ქალთა სიას, აქ ყველაზე დიდი ცვლილებები შარშანდელი ფინალისტების — გამარჯვებულ ჯენიფერ კაპრიატისა და დამარცხებულ მარტინა ჰინგისის მდგომარეობებს შეეხოთ. პირველსავე წრეში გავარდნილი კაპრიატი სამი ადგილით ჩასრიალდა, მოუშუშებელი ფეხის გამო წლეულს სულაც უთამაშებელი ჰინგისი კი მე-11 ადგილიდან მე-18-მდე ჩავარდა.

პირველსავე ტურნირზე ოჯახად მილიონის მომგებ სერენასა და ვინუსს მესამე და მეოთხე ადგილებზე მიუდგნენ მათ მიერ ნახევარფინალებში ძლეული კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი. მათმომდევნოდ დანიელა ჰანტუხოვა, ვინუსთან მეოთხედფინალში დამარცხებული გრძელფეხება სლოვაკი დასკუპდა. ქალთა ეს ხუთეული ამჟამად მართლაც უძლიერესია — მათთან გადავებას ალბათ მხოლოდ ლინდსი დევენპორტი თუ მოახერხებს.

ლევან ძიძავრაძე

12-თვიანი მცოცავი რეიტინგსიები

ვაჟები

1 (1)	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	4630 ქ.
2 (2)	ანდრე აგასი (აშშ)	4395
3 (4)	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	3085
4 (5)	კარლოს მოია (ესპანეთი)	2630
5 (6)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	2475
6 (10)	ენდი როდიკი (აშშ)	2460
7 (3)	მარატ საფინი (რუსეთი)	2235
8 (8)	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	2015
9 (12)	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	1955
10 (7)	ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	1921
11 (9)	ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	1915
12 (16)	სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	1855
13 (14)	პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი)	1756
14 (13)	პიტ სამპრასი (აშშ)	1580
15 (11)	ტომი ჰაასი (გერმანია)	1570
16 (36)	რაინერ შიუტლერი (გერმანია)	1570
17 (20)	სხენგ შალკენი (ჰოლანდია)	1555
18 (19)	ალექს კორეჩა (ესპანეთი)	1555
19 (18)	გილერმო კანიასი (არგენტინა)	1550
20 (17)	ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1506

ქალები

1 (1)	სერენა უილიამსი (აშშ)	6989
2 (2)	ვინუს უილიამსი (აშშ)	5370
3 (4)	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	3763
4 (5)	ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	3407
5 (8)	დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	2838
6 (3)	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2790
7 (6)	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2729
8 (9)	ელენა დოკიჩი (იუგოსლავია)	2506
9 (7)	მონიკა სელეში (აშშ)	2492
10 (10)	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	2171
11 (12)	ანასტასია მისკინა (რუსეთი)	2150
12 (13)	ჩანდა რუბინი (აშშ)	1965
13 (15)	პატი შნიდერი (შვეიცარია)	1787
14 (14)	მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი)	1669
15 (16)	სილვია ფარინა ელია (იტალია)	1544
16 (17)	ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (ისრაელი)	1536
17 (23)	ელენა ბოვინა (რუსეთი)	1442
18 (11)	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1386
19 (19)	ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1378
20 (18)	ნატალი დეში (საფრანგეთი)	1374

ჩემპიონთა რბოლა

1 ანდრე აგასი	200 ქ.
2 რაინერ შიუტლერი	163
3 უეინ ფერეირა (ს. აფრიკა)	106
4 ენდი როდიკი	93
5 ხუან ფერერო	74
6 იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	72
7 შტეფან კუბეკი (ავსტრია)	59
8 მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	55
9 დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	51
10 სებასტიან გროჟანი	50
11 პარადორნ შრიჩაფანი	50
12 ფელიქს მანტია (ესპანეთი)	46
13 ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ)	45
14 ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა)	44
15 როჯერ ფედერერი	43
16 გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	42
17 ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	39
18 გილერმო კორია (არგენტინა)	38
18 სარგის სარგსიანი (სომხეთი)	38
20 ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი)	32

ძიუდო

შარშანდელი სეზონის შედეგებით ბორჯღალოსნებთან ერთად წლის საუკეთესო გუნდად აღიარებულმა ძიუდოისტთა ნაკრებმა წლევანდელიც წარმატებით დაიწყო. ჩვენმა ტატამის ოსტატებმა მოსკოვში გამართულ სუპერ „ა“ კატეგორიის ტურნირზე თითო ოქროსა და ვერცხლის, ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს

ციბრუტი მოსკოვურ ტატამზე



ნესტორ ხერგიანი

ეს ტურნირი ძიუდოს საქართველოსთვის პირველი იყო, რომელზეც ათენის ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად ციებ-ცხელება დაიწყო. ამიტომაც შეჯიბრებამ 41 ქვეყნის 500-ზე მეტ წარმომადგენელს მოუყარა თავი. მათ შორის იყვნენ თვით იაპონიისა და საფრანგეთის, აგრეთვე ინგლისის, ამერიკისა და სხვათა წარმომადგენლები, რუსეთი კი, როგორც მასპინძელი, თითქმის შემადგენლობით გამოდიოდა.

პირველ სალიცენზიო შეჯიბრებაში პირველ რვა ადგილზე გასულებმა აქტივში შესაბამისი სალიცენზიო ქულები ჩაიწერეს. ბუნებრივია, ათენისკენ ყველაზე დიდი ნაბიჯი ჩემპიონებმა გადადგეს, მათ შორის ჩვენმა ნესტორ ხერგიანმა (60 კგ), რომელმაც მოსკოვური ტატამი ყველა შეხვედრაში გამარჯვებულმა დატოვა. როგორც გუნდის მწვრთნელმა ბიძინა მოხევიშვილმა გვითხრა, ნესტორმა მართლაც ბრწყინვალედ იჭიდავა, ტატამზე ციბრუტივით იტრიალა, ყველა ბრძოლაში პარწმინდად დაამარცხა მეტოქე და მათ წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა.

მოხევიშვილმა ასევე ძალიან აქო დავით ქევხიშვილი (73კგ), რომელმაც ფინალამდე ყველა მეტოქეს ხერგიანივით დამაჯერებლად სძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, გადამწყვეტ შეხვედრაში წამიერი უყურადღებობის გამო დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებს დიდი არჩევანი აქვს 66კგ წონით კატეგორიაში, მაგრამ მათგან ვის უნდა ანდონ გუნდის ღირსების დაცვა წლევანდელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ეს მოსკოვური ტურნირის მერეც ბუნდოვანია.

მოსკოვში ამ წონით კატეგორიაში გიორგი რევაზიშვილი და დავით მარგოშვილი იბრძოდნენ. ისე მოხდა, რომ ისინი იქაურ ტატამზე ერთმანეთს არ შეხვდნიან. ამასთან, ორივემ თითო ბრძოლა წააგო და ორივემ III ადგილი დაიკავა.

ასე რომ, კითხვა უპასუხოდ დარჩა.

მოსკოვში მოასპარეზე საქართველოს კიდევ ორ ძიუდოისტზე შევჩერდებით. მინდია ბოლქველი (90) და ლევან გუჯეჯიანი (მძიმე წონა), მართალია, პრიზიორებში ვერ მოხვდნენ და ორივემ VII-VIII ადგილები დაიკავა, მაგრამ სალიცენზიო ყულაბაში პირველი შესატანი მაინც შეიტანეს.

საბოლოოდ, გუნდურ პირველობაში რუსებმა იმარჯვეს. II ადგილზე ფრანგები, მესამეზე კი ქართველები გავიდნენ.

ასე იყო თუ ისე, სეზონის პირველი გამოცდით საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ ჩვენს გუნდს საათენოდ ყველა წონით კატეგორიაში ეყოლება ძიუდოისტი და იქიდანაც მნიშვნელოვანი მონაგარით დაბრუნდება.

ავთანდილ ტყვიშელი

კრივი

ტაისონი ისევ გამოჩნდა
ის და ლუისი ერთმანეთს შეხვდებიან

მსოფლიოს ჩემპიონმა მძიმე წონის კრივში, საბჭოს (ვბკ) ქამრის მფლობელმა ბრიტმა ლენოქს ლუისმა განაცხადა, რომ „ეიჩბიოუს“ ტელეარხთან მოაწერა ხელი, რაც იმას ნიშნავს რომ ივნისში რინგზე გავა და ალბათ მაიკ ტაისონს შეერკინება





ლენოქს ლუისს მაიკ ტაისონი ერთხელ უკვე შემოელახა, შარშან, მემფისში

აქამდე გამოცხადებული იყო, რომ 37 წლის ლუისი აპრილში შეხვდებოდა უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს, მაგრამ ამ ბრძოლას აღარავინ ახსენებს.

ლუისი 21 ივნისს ვარაუდობს ტაისონთან შეხვედრას, რომელიც თავის ახლანდელ ძალას თებერვალში მოსინჯავს კლიფორდ ეტიენთან ბრძოლაში.

სწორედ ტაისონის ფორმაზეა დამოკიდებული, დათანხმდება თუ არა „ეიჩბიოუ“ მისი და ლუისის შერკინებას და ამ ბრძოლის ტელერეპორტაჟით მილიონების შოვნას.

არადა, ახლახან კლიჩკოს პრომოუტერმა რაინერ კოპკემ განაცხადა, რომ ლუის — ვიტალის ბრძოლა აუცილებლად გაიმართებოდა. კოპკეს სიტყვით, მას კონტრაქტი ჰქონია ლუისის ბიზნეს-მრჩეველ ედრიან ოგუნთან და ეს კონტრაქტი არ გაუქმებულა.

ლუისისთვის ურიგო არ უნდა იყოს აპრილში კლიჩკოსთან შეხვედრა, თუმცა, დიდი ბრძოლის წინ რისკის გაწევა ალბათ არ უნდა. ხუმრობა ხომ არ არის, კლიჩკოსთან ბრძოლისთვის ლუისს 10 მილიონ დოლარს სთავაზობენ, ტაისონთან ბრძოლისთვის კი 25 მილიონ დოლარს.

ასე რომ, ტაისონ — ეტიენის სათებერვლო ჩხუბი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ავტორბოლა

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. პირველი ეტაპი. მონაკო

პეჟო და სიტროენი
ჩემთვის მთავარია
შენი ავარია

REUTERS ფოტო

სებასტიენ ლოები თავისი „სიტროენიდან“ მონაკოს გმირად გადმოვიდა

მერალეთა მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი ტრადიციულად ჯუჯა მონაკოს მთიან გზებზე ჯირითით დაიწყო. წლევანდელ სეზონშიც 14 ქვეყნის დიდი პრიზი გათამაშდება. კალენდარში პირველადაა თურქული ეტაპი, რომელმაც კენიის ადგილი დაიკავა.

ცვლილება მოხდა ქულათა დარიცხვაშიც. ისევე, როგორც ფორმულა 1-ში, ჩათვლას ამიერიდან რვა საუკეთესო მრბოლი მიიღებს ექვსის ნაცვლად.

ფავორიტებად კვლავ ფრანგული „პეჟო“ და მისი ბოლო სამი წლის ტრიუმფატორები — მარკუს გრონჰოლმი (2000, 2002) და რიჩარდ ბარნსი (2001) ითვლებიან. თუმც აშკარად მომძლავრებული თანამემამულე „სიტროენის“ სახით პეჟოელებს მეტად საშიში კონკურენტი გამოუჩნდათ. ადრე ხანდახან მოასპარეზე „სიტროენმა“ წლეულს ამბიციური მიზნები დაისახა, ამჯერად ყველა ეტაპზე გამოვალთ და საჩემპიონოდ ბრძოლასაც ვაპირებთო. ერთი კია, ეს ბაქიბუქი „ასფალტის ჩემპიონებს“ მხოლოდ სანახევროდ თუ წაადგებათ, რადგან რბოლების ნახევარი მოხრეშილ გზებზე ჩაივლის.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქამდე ვერცხლისფერი „პეჟო“ წლეულს გაწითლდა, რაკი ფრანგული კონცერნის სპონსორობა მეთამბაქოეთა ამერიკელმა მონსტრმა „მარლბორომ“ ითავა.

მონაკოს მთიანეთში რბოლებს სათავე თითქმის საუკუნის წინ, 1911 წელს დაედო. გასულ უქმეებზე მოწყობილი გაჯირითება 71-ე გახლდათ. ისიცაა სათქმელი, რომ ამ სამდღიანი ჯოჯოხეთის შემდეგ პირველობა კი არა, პოდიუმზე შედგომაც ლამის გმირობის ტოლფასია.

ასფალტიან, მაგრამ ალაგ-ალაგ მოყინულ ორლობის სიგანის გზებზე არაერთი ავარია მოხდა. დასაწყისი უპირველეს ფავორიტ გრონჰოლმისთვის შთამბეჭდავი კი იყო, მაგრამ ფათერაკს ვერც ის გადაურჩა, მეორე დღეს ჩემპიონისთვის უკადრისი შეცდომა დაუშვა, მისი „პეჟო“ თოვლის ზვინში შევარდა და წინა მარჯვენა შეკიდულობის დაზიანების გამო პირველიდან მეთექვსმეტე ადგილზე გადავარდა. არადა, იმ საბედისწერო შემთხვევამდე ფინელი ორგზის ჩემპიონი დიდი უპირატესობით ლიდერობდა. ავარიის შემდეგ კი, მართალია, ბრძოლა გააგრძელა, მაგრამ დანაკარგის ანაზღაურება ველარ შეძლო და საბოლოოდ მე-13 პოზიციაზე დარჩა.

შედეგად, გამარჯვება იზეიმა 28 წლის სიტროენელმა სებასტიენ ლოებმა შტურმან დანიელ ელენასთან ერთად. ცნობისთვის, ფრანგმა პილოტმა მონაკოში შარშანაც აჯობა ყველას, მაგრამ იმის გამო, რომ საბურავები წესით დაუშვებელ ადგილას შეცვალა, ორი წუთით დააჯარიმეს და პირველობა (ზედიზედ მეოთხედ) ოთხგზის ჩემპიონ ტომი მაკინენს ერგო.

„სიტროენის“ ტრიომ ბრწყინვალე წარმატება იზეიმა — პოდიუმის სამივე საფეხური მათი იყო, მაგრამ რადგან გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ ორი ეკიპაჟის შედეგი შედის, 18 ქულას „დასჯერდნენ“ და ახალდაწყებულ თითქმის ათთვიან მარათონში ფრიად საიმედო პერსპექტივა შეიქმნეს.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	4 სთ; 29.11,4
2	კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 38,1
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	52,2
4	მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	55,5
5	რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო)	3.16,5
6	სედრიკ რობერი (საფრანგეთი, პეჟო)	5.16,7
7	ფრანსუა დიუვალი (საფრანგეთი, ფორდი)	5.17,1
8	არმინ შვარცი (გერმანია, ჰიუნდაი)	6.42,3

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 18 ქულა; ფორდი 10; პეჟო 6; ჰიუნდაი 3; შკოდა 2

რაგბი

ისტორიული წელი პორტუგალიით იწყება

ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა კლოდ სორელმა ადრე შერჩეულ 23 ლეგიონერს საქართველოში მოთამაშე 8 მორაგბეც დაამატა და ის შემადგენლობა დაასახელა, წლევანდელი ევროპის ერთა თასის პირველი მატჩისთვის რომ მოამზადებს.

შეგახსენებთ, 15 თებერვალს ლისაბონში ჩვენები პორტუგალიას ეთამაშებიან.

საამატჩოდ ბორჯღალოსნები საფრანგეთის ქალაქ ლატიში 5-დღიან შეკრებას მოაწყობენ,. რომელიც 9 თებერვალს დაიწყება. შეკრებაზე შერჩეული საპორტუგალიო 22-კაციანი რაზმი მატჩის წინა დღეს ლისაბონში ჩაფრინდება.

გაფართოებულ შემადგენლობაში ახალი სახელი ერთია — „ორბელი-ლელოს" უკანახაზელი ლაშა ფირფილაშვილი, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

გამორიცხული არაა, ამ 31-კაციანმა შემადგენლობამ იმატოს. როგორც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა გვითხრა, ამ უქმეებზე სორელი საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებს დაესწრება და შეიძლება რამდენიმე ლეგიონერი დაიმატოს. ჯერჯერობით კი შეკრებაზე სორელმა ესენი გამოიძახა:

მორაკინალები: გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, მევლუდ მთიულიშვილი, ვანო ნადირაძე (ყველა „ბეზიე"), ლევან ცაბაძე, დავით აშვეთია („მონფერანი"), ზვიად მათიაშვილი („კანი"), ლევან ჯაველიძე („ნანტი"), ვიქტორ დიდებულიძე („ფიზუაკი"), აქვსენტი გიორგაძე, ილია ზედგინიძე („როვიგო"), ზურაბ მჭედლიშვილი („დომონი"), გია ლაბაძე („ტულონი"), გრიგოლ იაშვილი („მეტრო-რასინგი"), გიორგი ჩხაიძე („ლა როშელი"), დავით ბოლღაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი („უნივერსიტეტი").

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე („ორიიაკი"), ვასილ კაცაძე („გრენობლი"), თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი („ტური"), ბესიკ ხამაშურიძე („ოში"), ბადრი ხეხელაშვილი („ანგულემი"), გუჯა იოვაძე („აგდი"), კახა ალანია, ვასილ აბაშიძე („ლოკომოტივი"), ოთარ ბარკალაია, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი („ორბელი-ლელო"), გიორგი ელიზბარაშვილი („აკადემია").

კლოდ სორელს და ბორჯღალოსნებს უმაგალითო წელი ეწყებათ

მთის თხილამურობა

ასეთ ამბებზე ფილმებს იღებენ და ამ ფილმების გმირები მართლა გმირები არიან, ან იქნებ გიჟებიც... ასეთი რამ ყოველდღე და ყველას თავს როდი ხდება და თუ ვინმეს შეემთხვა, მას არასდროს ივიწყებს ისტორია

დიდი!

ჰერმან მაიერისნაირებს გიჟებს უწოდებენ. გიჟებს, რომელთაც ეთაყვანებიან

ჰერმან მაიერი იგებდა ყველა დიდპატარა ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდა — სამჯერ მოიპოვა მსოფლიოს თასი, ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ნაგანოს თეთრი ოლიმპიადიდანაც ოქროს ორი მედალი წამოიღო. მასზე უკეთესი არავინ იყო, მოირგებდა თხილამურებს და ზვავზე უსწრაფესად მოექანებოდა დათოვლილი ფერდობებიდან. თავაწყვეტილი ქროლვის გამო ავსტრიელს „ჰერმინტორიც" კი შეარქვეს...

...ერთხელ, ზაფხულში, როცა თოვლი ჩიტ-არწივთათვისაც მიუწვდომელ მწვერვალებზეა შემორჩენილი, ჰერმანი მოტოციკლით დაჯირითობდა და ავარიაში მოჰყვა. ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ასეთი ავარიისგან. სიკვდილთან არ უბრძოლია, მაგრამ როგორც სპორტსმენი, ის უკვე მკვდარი იყო. რკინის ჰერმანის გაჭეჭყილ სხეულზე დახრილი დასტაქრები დიდხანს ორჭოფობდნენ, მოეჭრათ თუ არა მისთვის მარჯვენა ფეხი. ივაჟკაცეს და მაიერს ფეხი შერჩა. დასახიჩრებას გადარჩენილს ოდესღაც იქნებ გაევლო კიდეც ორ ფეხზე, ხოლო თხილამურებზე... კი მაგრამ, მაშინ თხილამურებზე ვინ ფიქრობდა? ამ კაცის სპორტი დამთავრებული იყო. 28 წლის მოთხილამურე ძალების სრული გაფურჩქვნის პერიოდში უნდა გამოთხოვებოდა თეთრ დამრეცებს — ასე ფიქრობდა ყველა თავად „ჰერმინატორის" გარდა.

ავარიიდან 18 თვის შემდეგ ის უკვე თხილამურებზე იდგა, კიდევ ორ კვირაში სუპერგიგანტი მოიგო! ეს ამბავი ამ უქმეებზე მოხდა, მაიერის მშობლიურ ავსტრიაში, კიცბიუელში. შესაძლოა, მომავალში ამ ამბავზე ფილმი გადაიღონ და იმ ფილმის მთავარი პერსონაჟი ჰერმან მაიერი ნამდვილი გმირი იქნება.

ან იქნებ გიჟია? წარმოუდგენელია, კაცმა აწყობილი ფეხით, წელიწადნახევრიანი უქმობის შემდეგ ორკვირიანი ვარჯიშით აჯობო ყველას. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, მაიერმა კიცბიუელის ფერდობი წუთსა და 20,48 წამში ჩამოიფრინა. ბევრმა სცადა ამ შედეგის გაუმჯობესება, ჩვენი დროის საუკეთესო მოთხილამურეებმა თავი მოიკლეს, მაგრამ ამაოდ. აგრეთვე ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი, რომელიც მაიერის არყოფნაში მაიერობდა, მესამე იყო და ამ მესამეობამ ის წლევანდელი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე ალაზევა, მაგრამ ეს დამარცხების ტოლფასი იყო, რადგან იგი დაამარცხა ნახევრადკოჭლმა კაცმა, ვისაც წლების მანძილზე ამაოდ მისდევდა ზურგსუკან. ვინ ელოდა ამას?

თავად ჰერმანი თუ ელოდა ამას? „არ ვიცი, რა ვთქვა, გაოგნებული ვარ. ვერ წარმოვიდგენდი, ეს ასე ჩქარა თუ მოხდებოდა. თავი მთვარეზე მგონია" — ამბობდა გაცისკროვნებული სახით ჩვეულებრივ პირქუში მაიერი. „ადამიანი-რობოტის", ჰერმინატორის თვალში სიხარულსა და ბედნიერების ცრემლი კიაფობდა.

მაიერმა უამრავი მილოცვა მიიღო ამ ორ-სამ დღეში. აი, ერთი მათგანის ნაწყვეტი: „შენი გამარჯვება შენი ნებისყოფის გამარჯვებაა შენი სხეულისა და ბედისწერის წინააღმდეგ ბრძოლაში. შენით ამაყობს მთელი ავსტრია..." — ტომას კლესტილი, ავსტრიის პრეზიდენტი.

მაიერის საგმირო ამბავს მეორე ავსტრიელის, ფორმულა I-ის ლეგენდის ნიკი ლაუდას ამბავს ადარებენ. 1976 წელს ავსტრიელი მრბოლი ბარიერს შეასკდა და ცეცხლმოდებულ ბოლიდში ლამის ცოცხლად ჩაიწვა. რამდენიმე დღის სულთმობრძავს მღვდელიც კი მიუყვანეს. ლაუდა გადარჩა, საშინელი ინციდენტიდან თვენახევარში ბოლიდში ჩაჯდა და იტალიის დიდ პრიზზე რბოლაში მეოთხე ადგილზე გავიდა, ერთი წლის შემდეგ კი ჩემპიონატიც მოიგო.

ახლა ავსტრიელებს მეორე კერპიც ჰყავთ. მართალია, მაიერს მობრუნების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ მოუგია, მაგრამ კიცბიუელში ეტაპის მოგების შემდეგ ყველაზე სკეპტიკოსი სპეციალისტიც ვერ ჩამოწერს მას. მსოფლიოს ჩემპიონატი კი ერთ კვირაში იწყება, სენტ მორიცში. იქ ავსტრია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, თითოეულ დისციპლინაში ოთხ-ოთხი მონაწილით წარდგება. მაიერი უკვე ირიცხება სუპერგიგანტისთვის გამზადებულ ოთხ ავსტრიელში და კარგი შანსი აქვს, გიგანტურ სლალომისტთა შორისაც მოხვდეს.

ირაკლი ფირცხალავა

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

იქნება ეს ფინალი? იქნება!

27 იანვარი

დალასი 5:3 ოტავა 0:1 2:2 3:0

0:1 ჰავლატი (6), 0:2 ჰავლატი (23), 1:2 მოროუ (30), 2:2 მოდანო (31), 2:3 ჰავლატი (32), 3:3 იანგი (50), 4:3 გერინი (55), 5:3 მოდანო (60)

თუ დღევანდელი ვითარება სეზონის ბოლომდე არ შეიცვლება და ლიგის ეს ჯერჯერობით საუკეთესო გუნდები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, ქომაგები ნამდვილად გაიხარებენ. წუხელ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიდერების — დალასისა და ოტავას თამაში ძალიან შინაარსიანი და თვალსასეირო გამოდგა, ბოლომდე შეინარჩუნა ინტრიგა და გულშემატკივრები ერთობ ასიამოვნა.

ორივე გუნდმა დაამტკიცა, რომ საღლეისოდ მათი დივიზიონებში პირველობა შემთხვევითი არ არის. ოტავა იშვიათად, მაგრამ არანაკლებ მწვავედ უტევდა. თან ამ შეხვედრაში „სენატორთა" ახალგაზრდა ლიდერს, მარტინ ჰავლატს წაუვიდა თამაში. მისი ერთმანეთზე ლამაზი სამი გოლის შემდეგ ოტავა წინ იყო, მაგრამ ბოლო ათ წუთში დალასმა ჩვეული სტილით მოახერხა მეტოქე. ყველაფერი კი მაინც მხოლოდ მაშინ გაირკვა, როცა მაიკ მოდანომ ცარიელ კარში გაიტანა.

ბუფალო 1:5 ნეშვილი 0:3 0:1 1:1

0:1 ჰოლი (6), 0:2 იანჩევსკი (14), 0:3 რ. მიურეი (15), 0:4 იორკი (33), 0:5 ლეგვანდი (41), 1:5 გრეტონი (45)

ნეშვილის მეკარე ტომაშ ვოკოუნი თამაშის მე-15 წუთზე უკვე ჩინებულ ხასიათზე იყო, რაც იშვიათი შემთხვევაა. ჩვეულებრივ პარტნიორები ამის საშუალებას არ აძლევენ. ამჯერად კი ნეშვილელებმა პირველივე პერიოდში იმდენად დიდი უპირატესობა მოიპოვეს, რომ მატჩის ბედი მაშინვე გაარკვიეს. მით უმეტეს, რომ ბუფალო არ გამოირჩევა გოლების სიმრავლით ლიგაში. ბოლოს ვოკოუნი ოდნავ უგუნებოდ შეიქნა — მასპინძლებმა მაინც გაუტანეს.

ლოს ანჯელესი 0:3 სან ხოსე 0:2 0:1 0:0

0:1 ნოლანი (3), 0:2 მარჩმენტი (10), 0:3 ბრიდლი (27)

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტა							
ნიუ ჯერსი	48	29	3	4	12	124:95	65
ფილადელფია	49	27	8	2	12	121:103	64
აილენდერსი	49	22	5	2	20	135:145	51
პიტსბურგი	50	21	4	5	20	135:144	51
რეინჯერსი	53	21	6	1	25	134:160	49
ჩრდილო-აღმოსავლეთი							
ოტავა	51	32	6	1	12	170:115	71
ბოსტონი	49	25	5	1	18	148:129	56
ტორონტო	50	25	4	1	20	136:126	55
მონრეალი	51	20	7	5	19	134:148	52
ბუფალო	49	15	7	3	24	108:128	40
სამხრეთ-აღმოსავლეთი							
ვაშინგტონი	51	23	7	3	18	147:139	56
ტამპა	50	20	7	4	19	139:143	51
ფლორიდა	50	15	9	8	18	113:146	27
კაროლინა	51	17	6	5	23	112:141	45
ატლანტა	49	16	3	4	26	132:176	39

დასავლეთის კონფერენცია

ცენტრი							
დეტროიტი	50	27	7	2	14	147:124	63
სენტ ლუისი	51	26	6	4	15	163:132	62
ჩიკაგო	51	21	9	3	18	123:125	54
ნეშვილი	50	17	8	4	21	114:133	46
კოლუმბუსი	50	19	4	2	25	142:157	44
ჩრდილო-დასავლეთი							
ვანკუვერი	50	29	5	0	16	154:130	63
მინესოტა	50	25	7	1	17	123:109	58
ედმონტონი	50	23	5	6	16	138:136	57
კოლორადო	48	19	10	5	14	138:122	53
კალგარი	50	17	7	3	23	108:139	44
წყნარი ოკეანე							
დალასი	52	29	11	1	11	161:106	70
ანაჰაიმი	49	20	7	4	18	119:123	51
ფინიქსი	50	18	7	4	21	124:135	47
სან ხოსე	49	18	6	5	20	131:147	47
ლოს ანჯელესი	50	19	4	4	23	124:141	46

ასი წელიწადი



REUTERS ვაშინგტონიდან

„ნეშენალ ჯეოგრაფიკმა“, ამ მეტად საინტერესო და უკვდავმა ჟურნალმა სამყაროს რაობისა და ბუნების შესახებ თავისი სათებერვლო ნომრისთვის ერთი მსუბუქი თემაც შეარჩია. ჟურნალის გამჭოლ ფოტოსიუჟეტად გამოცხადდა: „საცურაო კოსტუმის 100 წელი“ და გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე გამოფენა გამართა. თანამედროვე კოსტუმების მოდელებად პროფესიონალი მოსერფინგეები აირჩიეს და ყდაც ასეთი გოგოს გამოსახულებით დაამშვენეს. ასი წელი, კოსტუმები ძნელი დასათვალიერებელია...

REUTERS სეპანგიდან

სეპანგის გამო

მალაიზიის საფორმულე დიდი პრიზის რეკლამირება ერთი ხმაურით მიმდინარეობს კუალა ლუმპურში. მარტში სეპანგის ტრასაზე დიდი ბლუილი იქნება, მანამდე კი მის ინდოეთი 2001 — სელინა ჯაიტლი „ზაუბერის“ მანქანაზე ჩამომჯდარა და თვალს იტაცებს.

REUTERS ტოკიოდან

არნი სამშობლოში

მშობლიურ ავსტრიაში სამთო თხილამურობის მსოფლიო თასის საცქერად ჩასულა არნოლდ შვარცენეგერი და კიცბიუელის დალმართების რაობას უხსნის თავის ცოლს, მარია შრაივერს.



REUTERS კიცბიუელიდან

აღზევებული

მოძღვარი ტაკასაგო საკეს ასმევს მოწაფე ასაშორუს. ასაშორუს ზედიზედ მეორე დიდი შეჯიბრი მოუგია და იოკუძუნადაც კურთხეულა. ივი ტომით მონლოლი გახლავთ და თურმე არცერთი მონლოლი აგრე არ აღზევებულა სუმოში.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი იქრომჭელიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge